# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 23 იანვარი 2007 №13 (2936) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენშტაბის სტრატეგია: რუმინეთს არ შევაკვდებით, მთავარი მსოფლიოს თასია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მალხაზ ჭეიშვილის, დავით ჩავლეიშვილის და პაატა ნარიმანაშვილის თავკაცობით ის 22-კაცა შემადგენლობა დაასახელა, 3 თებერვალს წლევანდელ ევროპის ერთა თასის სადებიუტო მატჩში რუმინეთს რომ დაუპირისპირებს. საბუქარესტო შემადგენლობა ასეთია:

**მორკინალები:** დავით ზერაქაშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, დავით გასვიანი, აქვსენტი გიორგაძე, ავთანდილ კოპალიანი, ილია ზედგინიძე, ვიქტორ დიდებულიძე, ლევან დათუნაშვილი, ილია მაისურაძე, გია ლაბაძე, ბესო უდესიანი, გიორგი ჩხაიძე

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი გიორგაძე, რევაზ გიგაური, დავით კაჭარავა, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი ელიზბარაშვილი, გიორგი შკინინი, მერაბ კვირიკაშვილი

რადგან საქართველოს ნაკრებმა უკვე მოიპოვა წლევანდელი მსოფლიოს თასის საგზური და ეს ერთა თასი ბევრს არაფერს წყვეტს, ნაკრების რამდენიმე ლიდერი მწვრთნელებმა ამ ჯერზე არ მოაცდინეს და ფრანგული კლუბების თხოვნა გაითვალისწინეს. ამიტომაც ბუქარესტში არ იქნებიან ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები: გოდერძი შველიძე, მამუკა გორგოძე, მალხაზ ურჯუკაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე. სარუმინეთოდ ჩვენები სამდღიან შეკრებას საფრანგეთში გაივლიან. ბუქარესტში 29 იანვარს ჩავლენ და ოთხი დღეც ადგილზე მოემზადებიან.

ბაჩო სვანიძე








## ჩაკრულო, გულში ჩაკრულო

## ილიადა, ოდისეა, არგო, საქართველომ რამდენს არგო

...აქაურებს მართლაც ვუყვარვარ, საბერძნეთში პატივისცემას ვგრძნობ, მაგრამ სახეზე იშვიათად მცნობენ. მე ჯერაც ჭაბუკმა მოვიგე ოლიმპიადა. საყოველთაო აზრით კი, ოლიმპიური ჩემპიონი აუცილებლად კაცი უნდა იყოს. არ მიყვარს ტელევიზიებში სიარული და კამერების წინ ტრიალი, სპორტსმენი ვარ და არა მსახიობი. ჩემი საქმე ვარჯიში და ხალხისთვის სიხარულის მინიჭებაა. სპორტსმენი თავმდაბალი უნდა იყოს...

ნუკრი ლოლაძის ათენური ინტერვიუ ჯარჯი ზვიადაურთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

## სუპერფინალი არ გამოვიდა: კურტანიძე გოგშელიძემდე სეთურიძემ არ მიუშვა

ოთარ მაღლაკელიძის ბათუმური რეპორტაჟი იხილეთ მეცამეტე გვერდზე






### ნაკლული 0:2

ქართველი 19-წლამდელები თურქებს ვერ მოერივნენ

### სიონის დამსჯელი დასჯილია

ირმატოვი მოკვეთეს

### ქართველებს დღეს დრეზდენი ნახავს

მეორებუნდესლიგურ ტრანსფერთა მოლოდინში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაკლული 0:2

## ქართველი 19-წლამდელები თურქებს ვერ მოერივნენ

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებმა თურქული შეკრება მარცხით დაიწყო — „ტრაბზონსფორის" ახალგაზრდულ გუნდთან (1987-88 წლებში დაბადებულები) 0:2 წააგო. თურქებმა მე-40 და 70-ე წუთებზე გაიტანეს გოლები.

ქართველთა მარცხს მიზეზი იოლად მოეძებნება: ჰაინც ტოპმიოლერმა ხუთი-ექვსი მოთამაშე მოისაკლისა და, შეიძლება ითქვას, 19-წლამდელები განახევრებული შემადგენლობით ეთამაშნენ ტრაპიზონელებს.

„დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დააკლდნენ გუნდს, ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენენ. აქ რომ საბრძოლო შემადგენლობით ვიყოთ, დარწმუნებული ვარ, ისეთივე დიდი უპირატესობით მოვიგებდით, როგორც დეკემბერში მალტასთან" — განაცხადა ჰაინც ტოპმიოლერმა, რომელიც კმაყოფილი დარჩა ლევან ყენიას თამაშით და ასევე გამოარჩია მირზა ბჟალავა, ამირან სანაია და გულვერდ თომაშვილი.

მომდევნო მატჩს ჩვენი 19-წლამდელები 24 იანვარს გამართავენ თურქულ „არაკლისფორთან".

„ტრაბზონსფორის" ახალგაზრდულ გუნდთან კი ქართველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *თევდორაძე, ბენაშვილი (წულაძე 70), თომაშვილი, თოთაძე (ქერივიშვილი 62), სანაია (შარანგია 75), ბჟალავა, ხიდეშელი (დაუშვილი 46), ნ. კვასხვაძე (თარგამაძე 46), მჭედლიძე, ყენია, ჯანელიძე (სალარიძე 46).*

# სიონის დამსჯელი დასჯილია

## რუსებმა ირმატოვი მოსკოვიდან მოკვეთეს

**რაშიდ ირმატოვი,** ვინც ესენგეს ჩემპიონთა ტურნირის პირველ ტურში „კაუნასი" — „სიონის" მატჩის არბიტრი იყო, ორგანიზატორებმა გათამაშებიდან მოკვეთეს. გასაკვირიც ალბათ არაფერია, ჩვენებისა და ლიტველთა ამ შეხვედრაზე მოსკოვის საფეხბურთო წრეებში ორი დღეა, ლაპარაკობენ და ბოლნისელთა მარცხის ხსენებისას თითს სწორედ უზბეკი ირმატოვისკენ იშვერენ. ესენგეს ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა კი ცალკე იმსჯელა ამ არბიტრის მსაჯობაზე და, როგორც უკვე ვთქვით, „კაუნასის" სასარგებლოდ დაშვებული უხეში შეცდომებისთვის ის დაითხოვა. არადა, უზბეკი მოსკოვში კიდევ ორ მატჩზე უკვე დანიშნული იყო.

ირმატოვის ნამსაჯი „კაუნასი" — „სიონი", გეხსომებათ, 2:1 დამთავრდა და ახლა ისეა საქმე, ჯგუფიდან მეოთხედფინალში გასასვლელად ბოლნისელებმა სერბული ოფკ ორბურთიანი სხვაობით უნდა დაამარცხონ, რაც სპეციალისტების თქმით, ძალიან ძნელი იქნება.

მატჩი მოსკოვის „ოლიმპიისკიში" დღეს გაიმართება. ამ სპორტკომპლექსის ხელოვნურსაფარიან მოედანზე „სიონს" ჯერ არ უთამაშია, ხოლო სერბებმა წინა ორი შეხვედრა სწორედ იქ ჩაატარეს. გუშინაც ვეტერანთა ტრადიციული მატჩის წინ ბელგრადელებმა „ოლიმპიისკიზე" ივარჯიშეს, ბოლნისელებისთვის კი ამის უფლება არ მიუციათ, მატჩი იწყება და ვარჯიშს ვერ მოასწრებთო.

ვეტერანთა მატჩში რუსეთისა და ესენგეს ტურნირზე მონაწილე გუნდების მწვრთნელ-ხელმძღვანელებმა ითამაშეს. ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ პირობითად ესენგეს გუნდის დაცვაში „სიონის" გენდირექტორი მალხაზ აბრამიშვილი, მწვრთნელი კახა ცხადაძე, მისი თანაშემწე გიორგი ყიფშიძე და თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი ახრიკ ცვეიბა თამაშობდნენ. მატჩი 0:0 დამთავრდა.

**ლუკა თალაკვაძე**

| ინგლისი |
| --- |
| ჩემპიონატი. XXIX ტური |
| პლიმუთი 3:2 ქოვენთრი |

| გერმანია |
| --- |
| II ბუნდესლიგა. XVIII ტური |
| ჰანზა 0:1 ფრაიბურგი |

| იტალია |
| --- |
| სერია B |
| XX ტური |
| მოდენა 1:1 არეცო |
| სერია C1/B |
| XIX ტური |
| ტარანტო 4:2 სამბენედეტეზე |

თბილისის „დინამომ" ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების ორი ეტაპი უკვე მოილია — გუნდი ჯერ ბაკურიანში იყო, გუშინწინ კი ათდღიანი ანთალიური შეკრებიდან დაბრუნდა. კიდევ ერთი, ოღონდ ამჯერად ორკვირიანი და ამხანაგური მატჩებით დატვირთული პერიოდი „დინამოს" წინ აქვს — თბილისელები შაბათს ისევ ანთალიას მიემგზავრებიან. სწორედ ამ შეკრების შემდეგ მიიღებს დუშან უჰრინის გუნდი საბოლოო სამეორეწრეო სახეს, უფრო დაიხვეწება ტექნიკურ-ტაქტიკური მონახაზი და ის შემადგენლობაც გამოიკვეთება, რომელიც საჩემპიონო ტიტულს შეუტევს. თუმცა ჩემპიონატის განახლებამდე „დინამო" სეზონს თურქეთიდან დაბრუნებისთანავე თბილისურ „ამერთან" თასის მერვედფინალით დაიწყებს. სხვათა შორის, ანთალიაში „ამერიც" შაბათს მიემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე...



# ვითამაშოთ, ვითამამოთ

## უჰრინის ახალი დინამო: სწრაფი და აგრესიული

„ჯერჯერობით ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. ვიყავით ბაკურიანში, სადაც, ცხადია, აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთეთ, შემდეგ ანთალიაში წავედით და ტაქტიკურ-ტექნიკური ვარიანტების დამუშავების გარდა ფიზიკური კონდიციების კიდევ უფრო ამაღლებაზე ვიმუშავეთ. ჩავატარეთ სამი ამხანაგური მატჩიც და, თუ გავითვალისწინებთ, რომ სათამაშო დღეებში ვარჯიშებიც გვქონდა, ამ ეტაპზე გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ბაკურიანშიც და ანთალიაშიც ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა" — გვითხრა „დინამოს" მწვრთნელმა დუშან უჰრინმა.

თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩეხმა მწვრთნელმა გუნდი ერთი დღით დაასვენა, გუშინ კი ვარჯიშები განაახლებინა და მესამე შეკრებაზე წასვლამდე შეგირდებს თბილისში მყოფ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ გუნდს გააჯიბრებს. ეს მატჩი ალბათ პარასკევს შედგება და „დინამო" პოტენციური უცხოელი ახალწვეულების გარეშე ითამაშებს. რატომ პოტენციური ახალწვეულები, ეს დუშან უჰრინის სიტყვებში იკითხება...

„ავსტრალიელმა ზელიჩმა და სლოვაკმა კრშკომ ანთალიურ შეკრებაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ორივე გამოცდილი ფეხბურთელია, მათ კარგად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები და მსურს, ზელიჩმაც და კრშკომაც „დინამოში" ითამაშონ. ზელიჩი ფრანკფურტში ცხოვრობს, ერთი კვირით შინ გაემგზავრა, იქ ინდივიდუალურად ივარჯიშებს და ანთალიაში ისევ შემოგვიერთდება. კრშკო კი სლოვაკეთშია და მასაც ველით მესამე შეკრებაზე".

რა იქნება მესამე შეკრებაზე, რით იქნება განსხვავებული იგი წინა თურქული ათდღეულისგან, უნდა ველოდოთ თუ არა „დინამოს" შემადგენლობაში ცვლილებებს — ამ კითხვებზე თბილისელთა ჩეხი თავკაცი გვპასუხობს:

„მომავალ შეკრებაზე „დინამო" ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ვეთამაშებით უკრაინულ „ილიჩევეცსა" და „ვორსკლას", ასევე ერთ-ერთ ყაზახურ გუნდს. კიდევ ორი მეტოქის ვინაობას კი მოგვიანებით გავარკვევთ. მატჩების რაოდენობის გათვალისწინებით ამ შეკრებაზე საკმაოდ შემჭიდროვებული გრაფიკი გვექნება — თამაშებს ვარჯიშები ჩაენაცვლება. წინა შეკრებისგან განსხვავებაც ეს იქნება. ცხადია, ისევ გავაგრძელებთ ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებას. პირველი ანთალიური შეკრების მატჩებიც სწორედ ოპტიმალური ტაქტიკის დასახვეწად დაგვჭირდა, სამივე შეხვედრაში რამდენჯერმე მოგვიხდა ფეხბურთელთა გადაადგილება, ხან ერთი თავდამსხმელით ვუტევდით და მეტწილად თავს ვიცავდით, ხან პირიქით, შეტევას ვაძლიერებდით. ვცდილობთ, უფრო მოქნილი იყოს ნახევარდაცვის თამაშიც. მოკლედ, წინ კიდევ ბევრი საქმეა, გასაძლიერებელია როგორც დაცვის, ისე თავდასხმის ხაზიც და საამისოდ ფორვარდების დამატება გვჭირდება. ეს არ ნიშნავს, რომ მომავალ შეკრებაზე გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად შეახლდება, თუმცა, ალბათ, ერთი-ორი ცვლილება მაინც იქნება".

როგორც შევიტყვეთ, „დინამო" ანთალიაში წასვლამდე არც ერთ ფეხბურთელთან განშორებას არ აპირებს, პირიქით, შესაძლოა, გუნდს სერგო ორბელაძე დაუბრუნდეს და რამდენიმე ბრაზილიელიც შეუერთდეს. კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე და სპორტული კოორდინატორი გია ჯიშკარიანი ხომ ახლა სწორედ ბრაზილიაში არიან და „დინამოს" პარტნიორ „კორინთიანსიდან" ეგებ სასურველი ფეხბურთელებიც წამოიყვანონ. ჯერჯერობით კი გუნდი, ზელიჩისა და კრშკოს გარდა, განვლილ ანთალიურ შეკრებაზე ნამყოფი შემადგენლობით დილმის საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობს ვარჯიშს. ხოლო დუშან უჰრინი ამბობს:

„ამ ორი შეკრების შემდეგ გამორჩევით ვერც ერთი ფეხბურთელის პროგრესზე ვერ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რაც გუნდს ერთი შეხედვითაც კარგად ეტყობა — ფეხბურთელები ახლა გაცილებით უფრო სწრაფად და აგრესიულად თამაშობენ. ვიმედოვნებ, მათი მონდომება არ განელდება და ჩემპიონატს საუკეთესო ფორმაში შევხვდებით".

**კობა ინასარიძე**

*ვლადიმერ გუცაევის სახელობის საფეხბურთო სკოლა 24 იანვრიდან 1 თებერვლამდე აცხადებს 1996-98 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას საფეხბურთო ჯგუფებში მეცადინეობა უფასოა. მსურველებმათან უნდა იქონიონ დაბადების მოწმობის ასლი (არქივიდან). სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებს უხელმძღვანელებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ოთარ გაბელია და შოთა ხინჩაგაშვილი. მისამართი: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა №73ბ (სტადიონ „არმაზის" მიმდებარე ტერიტორია) მსურველთა მიღება იწარმოებს 12 საათიდან 15 საათამდე. ტელეფონი: 8 99 43 42 40 (ვიტალი გრძელიშვილი)*

# მაძიებლებმა ერთმანეთი მოიძიეს

## ოქროს ტესტი საგურამოში: ამერი — ოლიმპი



**გუშინ** საგურამოში, „ამერის“ ბაზაზე, ამერელებმა რუსთავის „ოლიმპი“ ისტუმრეს და 1:0 დაამარცხეს.

თამაში ამხანაგური კი იყო, მაგრამ ჩემპიონობის მაძიებელთა შეხვედრა, ცხადია, საინტერესო სანახავი უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა.

მეტოქეები ამ თამაშამდე განსხვავებულად ემზადებოდნენ — „ამერს“ სათამაშო პრაქტიკა აკლდა, რაკი თურქულ შეკრებაზე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გადაიტანა და პირველი წრის დასრულების მერე მხოლოდ ერთი ამხანაგური თამაში ჩაატარა. „ოლიმპს“ კი სათამაშო პრაქტიკა მეტი ჰქონდა, რაკი რამდენიმე ამხანაგური მატჩი აქამდეც გამართა, თუმცა, სამაგიეროდ, ძირითადი შემადგენლობის ის ფეხბურთელები აკლდა, რომლებიც ბოლნისის „სიონს“ გააყოლა ესენგეს თასზე სათამაშოდ.

თამაში დაიწყო და, პირველი სახიფათო მომენტი პირველივე წუთზე შეიქმნა: ამერელი ბესიკ ჩიმაკაძე მეკარე მიხეილ ალავიძესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

თუმცა გოლს არ დაუხანებია. მე-12 წუთი იყო, დავით ბოლქვაძის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს რატი წინამძღვრიშვილმა თავი რომ დაჰკრა და გაიტანა.

როგორც აღმოჩნდა, ეს ამ მატჩის ერთადერთი გოლი იყო, არადა, სახიფათო მომენტები ორივე კართან საკმაო რაოდენობისა შეიქმნა.

შესვენებისას გიორგი ჩიხრაძემ თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა. უნდა ითქვას, რომ „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა შემადგენლობები ისე შეადგინა, რომ ორი თანაბარძალოვანი თერთმეტეული გამოსულიყო, რაც, თავის მხრივ, „ამერის“ გრძელ სათადარიგოთა სკამზე მიგვანიშნებს. რევაზ ძოძუაშვილს კი შეცვლების თვალსაზრისით ღიღად არ უაქტიურია და სათადარიგოებადაც ახალბედები ჰყავდა...

მატჩის ბოლო წუთზე კი „ამერს“ ანგარიშის გაზრდის ნაღდი შანსი მიეცა. დავით მჭედლიშვილის წაქცევისთვის არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა პენალტი დანიშნა, მაგრამ მასპინძელთა კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ ბურთი კარს გადააცილა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

**ამერი**: პირველი ტაიმი — ქვაჩახია, დიდავა, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ხვადაგიანი, ბოლქვაძე, მესხი, ჯელაძე, ნიკოლაიშვილი, ჩიმაკაძე, რ. წინამძღვრიშვილი;

მეორე ტაიმი — ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ფირანიშვილი, დავითნიძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, გაბისკირია, დოლიძე, დ. მჭედლიშვილი, ს. დავითაშვილი.

**ოლიმპი**: მ. ალავიძე, ბერუაშვილი, ხუბუა, ჩხარტიშვილი, ხოხონიშვილი, არზიანი, მ. ბურნაძე (სებისკვერაძე 32), რეხვიაშვილი (ხოსრუაშვილი 52, რეხვიაშვილი 67), დვალიშვილი, რ. გოცირიძე.

**კოტე კეკელია**

# ცენტრი ჯობია ღონესა

## იმერელმა იმერელს შუიდან შეუტია

**ზესტაფონი 1:0 ტორპედო**

1:0 იონანიძე (27პ)

**ზესტაფონი**: ჯალალანია, საჯაია, სანტოსი, გ. ჭელიძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ვიეირა, რ. ონიანი, იონანიძე

*შეცვლაზე შევიდნენ: ჩოხელი, პარამონოვი, ძარია, ხუმარაშვილი, პანოვი*

**ტორპედო**: კოდალაევი, ზ. ჩხეტიანი, ფარულავა, გოგია, გურული, თ. უგრეხელიძე, კილასონია, ზივზივაძე, ლალაძე, კვეტენაძე, სირბილაძე

*შეცვლაზე შევიდნენ: მ. ლონლაძე, ქვილითაია, ნ. ნადირაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, თურქიაშვილი, ჭედია, დოლონაძე*

**ორივე** იმერული გუნდი შეკრებას თბილისში გადის და საკონტროლო შეხვედრაც აქვე, „ლოკომოტივის“ დიღმის ბაზაზე გამართეს.

პირველ წრესთან შედარებით, ამ გუნდებში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, ძირითადი ბირთვი თითქმის იგივე დარჩა. ეგაა, ზესტაფონელებმა 19-წლამდელთა ნაკრების თურქეთში წასვლის გამო რამდენიმე ფეხბურთელი მოისაკლისეს, მეკარე გრიგოლ ჭანტურიას და შემტევ გოგი ფიფიას კი მცირე ტრავმები აწუხებთ.

„ტორპედოს“ ლატვიაში დაბრუნებული დავით გამეზარდაშვილისა და „ოლიმპში“ გადასული ბერუაშვილის გარდა, გიორგი კრასოვსკიც აკლდა, რომელიც აზერბაიჯანში წავიდა გასინჯვაზე და საქართველოში ჩამოსული „ტორპედოში“ არ დაბრუნებულა.

„ზესტაფონმა“ ჩვეული სქემით, 4-4-2-ით ითამაშა, „ტორპედოს“ კი წინ ერთი თავდამსხმელი, ახალწვეული ირაკლი სირბილაძე ჰყავდა. მეორე ფორვარდის არდაყენებით კი გიორგი კიკნაძემ ნახევარდაცვა გაამაგრა, თუმცა მოედნის ცენტრი მაინც „ზესტაფონისა“ იყო.

უპირატესობა „ზესტაფონს“ ჰქონდა. რიონისპირელებს აშკარად დაეტყოთ გამეზარდაშვილის წასვლა — ქუთათურთა დაცვა უამრავ შეცდომას უშვებდა. მარტო საწყის ათ წუთში ზურაბ იონანიძეს ოთხჯერ შეეძლო გატანა.

ცოტა ხანში „ტორპედო“ დალაგდა და მის კართან სახიფათო მომენტებმაც იკლო, თუმცა გიორგი ჭელიძეს და იმავ იონანიძეს გოლის გატანა ისევ მართებდათ.

მოგვიანებით ეს იონამ მაინც მოახერხა — საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა.

პირველივე ტაიმში როინ ონიანს შეეძლო მეორე გოლის გატანა, მისი დარტყმის შემდეგ ბესიკ კოდალაევი უშანსო იყო, მაგრამ „ტორპედო“ ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმში კიკნაძემ ტაქტიკა გადააწყო — თავდასხმაში ორი ახალი ფეხბურთელი, მანუჩარ წიქარიშვილი და ზურაბ მუშკუდიანი დააყენა, „ტორპედომაც“ ოდნავ უმატა და სამი სახიფათო მომენტიც შექმნა...

არ იფიქროთ, ზესტაფონელები მეორე ნახევარში სტატისტის როლში ყოფილიყვნენ. ფეროელებსაც ამდენჯერვე მიეცათ სხვაობის გაზრდის შანსი, მაგრამ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

პირველი წრის შემდეგ „ზესტაფონი“ ჩემპიონატის ლიდერ რუსთავის „ოლიმპს“ ორადორი ქულით ჩამორჩება და ბევრის აზრით, ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ამისთვის იმერლებს რამდენიმე წინაპირობა აქვთ — ძირითადი ბირთვი კარგა ხანია, ერთადაა და შეთამაშების პრობლემაც არ აწუხებს, თან გუნდს საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელი ჰყავს — თემურ მახარაძე. სხვათა შორის, მახარაძე ამ ჩემპიონატის წინ გაათავისუფლეს, მაგრამ „ზესტაფონს“ მისი წასვლა მალევე დაეტყო და ოთხი ტურის შემდეგ ხელმძღვანელობამ უკან დააბრუნა. მახარაძე პრესასთან საუბარს ერიდებახოლმე, მაგრამ გუშინდელი „ზესტაფონი“ — „ტორპედოს“ შემდეგ უარი არ უთქვამს...



# ანთალიაში უფრო მეტს და ხარისხიანს ველით

## თემურ მახარაძეს ევროპა უთხრეს

— ერთი საკონტროლო შეხვედრა დაგვრჩა აზერბაიჯანის „შახდაგთან“ და შეკრების მეორე ეტაპს ამით დავამთავრებთ. შემდეგ ორიოდე დღე დავისვენებთ და მესამე ეტაპს უკვე ანთალიაში გავივლით. კარგია, რომ გუნდიდან არავინ არ წასულა, იმ ფეხბურთელებს, რომელთაც კონტრაქტები დაუმთავრდათ, სამ-სამი წლით გავუგრძელეთ და ახალწვეული კი მხოლოდ როინ ონიანია. ანთალიაშივე გავსინჯავთ რამდენიმე ლეგიონერს.

— ბექა გოცირიძის გერმანულ აუე-ში წასვლაზე რას იტყვით?

— ეს ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ვნახოთ...

— ამ ორი შეკრებით კმაყოფილი ხართ?

— ამ ეტაპზე გუნდის მომზადებას დამაკმაყოფილებლად ვთვლი. სულ ორი საკონტროლო მატჩი გვქონდა და, როგორც გითხარით, კიდევ ერთს გავმართავთ. სამაგიეროდ, ანთალიაში უფრო მეტ თამაშს ვგეგმავთ და თან გაცილებით სერიოზულ სპარინგ-პარტნიორებთან.

— ზღვისპირეთში ჩაშლილმა შეკრებამ გეგმები ხომ არ აგირიათ?

— რა თქმა უნდა, მზადების პროცესზე გარკვეული გავლენა იქონია, თუმცა თბილისში შესანიშნავი ამინდებია და აქაც ნაყოფიერად ვივარჯიშეთ.

— საქართველოში დაბრუნდა კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია. ალბათ შეხვდით...

— ჩვენი მთავარი მიზანი ჩემპიონობა და თასის აღებაა, მაგრამ თუ ერთ-ერთი ევროტურნირის საგზურს მოვიპოვებთ, არც ეს იქნება ურიგო. კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნაა, მომავალი წლიდან გუნდი სერიოზულად გაძლიერდეს და გაცილებით ამბიციური გახდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**






# ქართველებს დღეს დრეზდენი ნახავს

## გრიგალაშვილმა და გოცირიძემ სირაძეს ბენაშვილიც უთხრეს

**დინამოელმა** შოთა გრიგალაშვილმა და ზესტაფონელმა ბექა გოცირიძემ გუშინ პირველად ივარჯიშეს გერმანულ ერცგებირგეს აუე-ში.

მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ წამყვან გუნდში გადასვლა მძლავრი ბიძგი უნდა იყოს ორივე ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, თუმც გერმანელთა მხრიდან მოწონებაზე და მით უმეტეს, კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

აუე-ს ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გრიგალაშვილი და გოცირიძე კლაუს ტოპმიოლერის რეკომენდაციით მოხვდნენ გერდ შადლიხის გუნდში. დანარჩენი ამბები კი ერცგებირგელთა ფორვარდ *დავით სირაძისაგან* შევიტყვეთ...

„მწვრთნელმა ვარჯიშის წინ გუნდს გრიგალაშვილი და გოცირიძე წარუდგინა. მათ დღეს პირველად ივარჯიშეს ჩვენთან, აქ ათი დღე დარჩებიან და ვნახოთ, რა შთაბეჭდილებას დატოვებენ. ხვალ ამხანაგური მატჩი გვაქვს „დრეზდენთან" და, ცხადია, მწვრთნელი ორივეს გამოცდის".

გრიგალაშვილ-გოცირიძის დარად, შესაძლოა, აუე-ში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ზესტაფონელი ალექსი ბენაშვილიც გამოჩნდეს.

სირაძემ გვითხრა, ბენაშვილის თაობაზე მე არაფერი ვიცი, მაგრამ გრიგალაშვილმა და გოცირიძემ კი თქვეს, ისიც უნდა ჩამოვიდეს ერცგებირგეშიო...

**ილია ნანობაშვილი**

# ფეოდალი ბარონის საუკეთესო შენაძენი

## დღეს გოგუა კონტრაქტს აფორმებს

**თუ** რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეს შოტლანდიურმა „ჰართსმა" გოგიტა გოგუას ექვსთვიანი კონტრაქტი უნდა გაუფორმოს.

დღესდღეობით „გულებში" ორი ახალი ფეხბურთელია — გოგიტა გოგუა და განელი ლარი კინგსტონი. ედინბურგულმა გაზეთმა „სკოტსმენმაც" მათზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა და ერთხელაც ვნახოთ, რას წერენ ჩვენებურზე...

„სკოტსმენი" გოგუას დადებით თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას და წერს, პროვინციულმა ნალჩიკის „სპარტაკმა" რუსული პრემიერლიგის სეზონი მაგრად რომ ჩაატარა, ამაში ქართველს დიდი წვლილი მიუძღვისო.

„ივანაუსკასის გუნდში იგი ჟულიენ ბრელიერის შემცვლელად მიიჩნევა, თუმცა რამდენიმე პოზიციაში შეუძლია თამაში" — ვკითხულობთ „სკოტსმენში" — საინტერესოა, რომ გოგუას კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული არა კლუბთან, არამედ ერთ კერძო პირთან — ნავთობოლიგარქ ანდრეი ჩერვიჩენკოსთან, რომელსაც კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან აქვს მსგავსი ხელშეკრულება. ჩერვიჩენკო ფეოდალი ბარონივითაა, მის გარეშე მოთამაშე ფეხს ვერსად ვერ გადაადგამს".

„სკოტსმენს" ჩერვიჩენკოს სიტყვებიც მოჰყავს, სადაც რუსი ამბობს, გოგუა ჩემი საუკეთესო შენაძენი იყოო: „მე სხვა ქართველ ფეხბურთელებზეც მეუბნებოდნენ, დააკვირდიო, თუმცა გოგუას სიძლიერეში მალევე დავრწმუნდი. როგორც მაშინ მითხრეს, გოგიტა რომელიღაც ავსტრიულ კლუბში გადადიოდა, აღარ დავახანე და ვთქვი, მე მეტს ვიხდი-მეთქი."

თავად გოგუა ამბობს, შოტლანდიაში კარგად მომზადებული მოვდივარ, რუსეთში დიდი სკოლა გავიარეო: „თუ თქვენ ფიზიკურად მზად არ ხართ, სისწრაფე არ გაქვთ და ტემპს ვერ უძლებთ, თუ მოგების ჟინი გაკლიათ, მაშინ რუსეთში არაფერი გესაქმებათ."

და ბოლოს, შოტლანდიელებისთვის კარგად ნაცნობი შოთა არველაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ გოგიტა „ჰართსში" თავს არ შეირცხვენს: „ეჭვიც არ მეპარება, ის შოტლანდიურ ფეხბურთს იოლად შეეგუება და ძლიერად ითამაშებს. გოგუას ბევრ პოზიციაზე შეუძლია თამაში, სწრაფია და აგრესიული, ზოგჯერ კი ძალიან აგრესიულიც. იმედია, „ჰართსში" ცოტათი დამშვიდდება"...

**ილია ნანობაშვილი**

# მენისკი და წვივი: მათე გადარჩა



**მეორე** ბუნდესლიგის მეორე წრის პირველივე ტურში, „მიუნხენ 1860" — „ფიურტის" მატჩში მათე ღვინიანიძე შესვენებაზე შეცვალეს. 20 წლის ქართველი მცველი ორჯერ უხერხულად შეეჯახა მეტოქეს და ჯერ მარჯვენა ფეხის წვივი, შემდეგ კი მარცხენა ფეხის მენისკი დაიზიანა...

— საშიში არაფერია, სამკურნალო ცენტრიდან ახლახან დამაიმედებელი დიაგნოზით გამოვედი. ექიმების თქმით, დასვენება სამი-ოთხი დღე მომიწევს. მერე ალბათ ვარჯიშს განვაახლებ და იმედი მაქვს, 7 თებერვალს ნაკრებშიც ვითამაშებ — გვითხრა წუხელ მათე ღვინიანიძემ.

**ილია ნანობაშვილი**

# მოსკოვი-იენა: აშვეთია დღეს მიფრინავს

**საქართველოს** ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია დღეს გერმანიაში ჩავა და, შესაძლოა, დღესვე გააფორმოს კონტრაქტი იენის „კარლ ცაისთან". ყოველ შემთხვევაში, ქართველ ფეხბურთელსა და მეორებუნდესლიგურ კლუბს შორის თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია და დანარჩენი უკვე დროის ამბავია.

აშვეთია ამ ცოტა ხნის წინ უკრაინულ „ილიჩევეცს" ახლდა თურქულ შეკრებაზე, თუმცა გერმანული ვარიანტი რომ გამოუჩნდა, უმალ მოსკოვში დაბრუნდა...

როგორც შევიტყვეთ, დიდი შანსია, „კარლ ცაისში" საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიაც გადავიდეს.

**კახა შალამბერიძე**





ანდრეი ჩერვიჩენკოს მოსკოვის „სპარტაკის" კაპიტან ეგორ ტიტოვზეც ეთქმის სიტყვა

# ისრაელი ქართველების გარეშე

## იმედაშვილი კიევში

## მარცვალაძესთან დარჩა



**სავარაუდოდ,** დავით იმედაშვილი მეორე წრეშიც ვერ გასცდება კიევის „დინამო 2"-ს. უკრაინულმა გრანდმა არაბული შეკრება მოილია და ამჯერად ისრაელში გაემგზავრა — კიეველთა თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ კი იმედაშვილი კიევში დატოვა.

გეცოდინებათ, დავითი დუბაიში ახლდა „დინამოს", მაგრამ სამი ტესტ-მატჩიდან მხოლოდ ერთში ითამაშა.

იმედაშვილის გარდა, დემიანენკომ კიდევ სამი ისეთი ფეხბურთელი არ წაიყვანა ისრაელში, რომლებიც საამიროებში ჰყავდა — ასეა თუ ისე, ქართველი მცველ-ნახევარმცველი გუნდის 24-კაციან სიაში ვერ მოხვდა.

ისრაელში ვერც ოთარ მარცვალაძე წავიდა, თუმც, მან რამდენიმე დღის წინ დაიწყო ვარჯიში და დიდი დატვირთვების მიღება ჯერ არ შეუძლია.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლაციო 0:0 | 0 | | 6 | 1 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | უნტერჰახინგი 1:1 | 60 | შეცვალეს | 16 | 2 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | შ | ფიურტი 0:3 | 45 | შეცვალეს | 13 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | სიტი 3:0 | 90 | | 14 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | დენ ჰააგი 3:1 | 90 | | 13 | 7 | 3 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | შ | ერგოტელისი 2:0 | 0 | | 8 | 0 | 8 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პანათინაიკოსი 0:0 | 90 | | 10 | 0 | 12 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# აუცილებლად დამირეკეთ

## პლატინი ორბურთიანი ფეხბურთის მომხრეა



**26 იანვარს უეფას პრეზიდენტის არჩევნებია — მიშელ პლატინი ლენარტ იუჰანსონის წინააღმდეგ. ლეგენდარული ფრანგი წინასაარჩევნო განწამაწიაშია და მოსკოვს ესტუმრა. თანამეგობრობის თასს ცალი თვალით უყურებს და თავის საქმეებს აგვარებს, რუსმა ჟურნალისტებმა კი ინტერვიუ სთხოვეს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ**

— თავს ფავორიტად მიიჩნევთ?

— ასე ვიტყოდი: ვითარება ჩემს სასიკეთოდ შემობრუნდა, მაგრამ წინასწარ პროგნოზის გაკეთება ძნელია, რადგან ფარული კენჭისყრა იქნება. როგორც უნდა იყოს, მაინც ოპტიმისტად ვრჩები.

**— მარცხის შემთხვევაში ფიფას პრეზიდენტობაზე იყრით კენჭს, თუ ზეპ ბლატერის გუნდში გადახვალთ?**

— უეფას პრეზიდენტის არჩევნების წაგებას არ ვაპირებ.

**— ევროპულ ფეხბურთში არსებულ პრობლემათაგან სასწრაფოდ მოგვარებას რომელი ითხოვს?**

— ახლა მთავარია, რომ უეფას ფრთის ქვეშ მთელი ევროპული ფეხბურთი მოვაქციოთ. პრობლემები მხოლოდ ათკაციანმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კი არა, ყველამ ერთად უნდა მოაგვაროს. სწორედ ამას გავაკეთებ გაპრეზიდენტების შემთხვევაში. ჩვენ, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა შევიმუშაოთ ქარტია, რომლის მიხედვითაც იცხოვრებს ევროპული ფეხბურთი. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ ფეხბურთის სხვა ისეთ მანკიერებებთან ბრძოლას, როგორებიცაა რასიზმი, დოპინგი, კორუფცია...

**— მოსკოვში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების შეფებთან მოსალაპარაკებლად ჩამოხვედით?**

— თანამეგობრობის თასზე პირველად არ ვარ და ფედერაციის შეფებიდან ბევრს ვიცნობ. ცხადია, ისინიც კარგად მიცნობენ და იციან, ევროპული ფეხბურთის რეფორმების ჩემეული პროგრამის შესახებ.

**— თქვენეული პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი ევროპის მთავარი საფეხბურთო ქვეყნებისთვის საჩემპიონთალიგო ადგილების ჩამოჭრას გულისხმობს. შეეხება თუ არა რეფორმა უეფას თასს?**

— უეფას თასის გათამაშების ახლანდელი ფორმატი სულ სამი წლისაა. დღევანდელი სურათი კი ასეთია: ერთნი კმაყოფილნი არიან ამ ფორმატით, მეორენი — უკმაყოფილონი. მიუხედავად ამისა, რადიკალურ ცვლილებებს არ ვაპირებ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. უეფას თასის გათამაშების მთავარი პრობლემა ისაა, რომ მას ჩემპიონთა ლიგა მთლიანად ჩრდილავს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

**— კი მაგრამ, უეფას თასის დონე ახლა ხომ გაცილებით დაბალია, ვიდრე თქვენი ფეხბურთელობისას იყო?**

— მართალია. ამის მიზეზი კი სწორედ ისაა, რომ ევროპის ბობოლა საფეხბურთო ქვეყნები უეფას თასზე მეორეხარისხოვანი გუნდებით არიან წარმოდგენილნი, პირველები კი ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობენ.

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თქვენი გამარჯვების შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი მიზანი უეფას თასის დონის ამაღლება იქნება?**

— სავსებით შესაძლებელია, თუმც ზემოთვე ვთქვი, რომ ნაადრევ დასკვნებს ვერიდები. უახლოეს წლებში დავაკვირდები ამ ტურნირს და თუ პირადად თქვენ რამე საინტერესო იდეა გექნებათ, აუცილებლად დამირეკეთ.

**— ხომ არ თვლით, რომ მთლიანად საფეხბურთო ფილოსოფიას სჭირდება ცვლილებები? ხშირად ამბობენ, ახლა თამაში გაცილებით ცუდია სანახაობრივად, ვიდრე 20-30 წლის წინ იყო.**

— რაღაც-რაღაცები, ამ მხრივ, მუდმივად კეთდება. მაგალითად, მეკარეს თანაგუნდელისაგან ბურთის ხელში აღება ავუკრძალეთ. სხვა მხრივ, თანამედროვე ფეხბურთს თითქოს ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ კვლავაც მიმზიდველი იყოს. არიან დიდებული ფეხბურთელები და მწვრთნელები. ვფიქრობ, რომ სულ სხვა გზით უნდა წავიდეთ, კლუბებმა უფრო მეტად დაცულად უნდა იგრძნონ თავი. წაგება ნებისმიერი თამაშის ნაწილია, ამას ადრე თუ გვიან ყველა გამოცდის. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ევროტურნირიდან გავარდნამ ამა თუ იმ კლუბის ფინანსური კრახი არ გამოიწვიოს. ამ მხრივ, გუნდებზე ზეწოლის შერბილება მიგვიყვანს საფეხბურთო მეურნეობის გაძლიერებამდე.

**— ეგებ თამაშის წესების შეცვლაა საჭირო?**

— შესაძლოა, ცვლილებები საჭირო იყოს, მაგრამ არა გლობალური. ამ თემაზე ბევრს საუბრობენ. ზოგი კარის ზომის გადიდებას ითხოვს, ზოგი ცხრა-ცხრაზე თამაშს... მათ ყოველთვის ვპასუხობ: „დიდებულია! ეგებ ორი ბურთით გვეთამაშა?“ მთავარია, ყველამ შეიგნოს, რომ ეს უკვე აღარ იქნება ფეხბურთი. ისე არ უნდა შევცვალოთ, რომ ველარავინ ველარ იცნოს.

**— როგორ უყურებთ ბოლო წლებში ფეხბურთში დიდძალი კაპიტალის დაბანდებას?**

— ნორმალურად. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ გუშინ და დღეს არ დაიწყო. ფეხბურთში ყოველთვის იყო დიდი ფული ამა თუ იმ ეპოქის კვალობაზე. როცა მე „იუვენტუსში“ გადავედი, ამ კლუბს ბლომად ფული ჰქონდა. სილვიო ბერლუსკონის „მილანიც“ სქელჯიბიანი იყო. ახლა დიდი ქისა რომან აბრამოვიჩს და „ჩელსის“ აქვთ. ამაში ცუდი არაფერია. მთავარი სხვაა, როცა ადამიანს „ფერარის“ ყიდვა უნდა, ბევრი ფული დასჭირდება, ხოლო ფეხბურთში ხშირად ადამიანები ყიდულობენ „ფერარის“ და ბოლოს ფული აღარ ჰყოფნით. ეს უკვე არასწორი მიდგომაა.

**— როგორც ფეხბურთელს, დიდებული კარიერა გქონდათ, შემდეგ საფრანგეთის ნაკრებსაც თავკაცობდით, ბოლოს კი, 1998-ში, მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზაციულ საქმეებს აგვარებდით. დიდი ხნის განმავლობაში უეფას და ფიფას აღმასკომის წევრი ხართ — ჩამოთვლილთაგან რომელი იყო ყველაზე საინტერესო?**

— კარგი კითხვაა... ეს, ალბათ, ასაკზეა დამოკიდებული 20 წლის რომ ვიყო, ფეხბურთის თამაშს ვარჩევდი, მაგრამ ამჟამად ახალი გამოწვევის წინაშე ვდგავარ და არ მეეჭვება, რომ ახალ ამპლუაში არანაკლებ სარგებლობას მოვუტან ფეხბურთს.

# ფეხბურთი ფეხბურთელებს!

## დომენეკი ირჩევს ფრანგს



**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა, უეფას პრეზიდენტის მოახლოებული არჩევნების წინ, ლენარტ იუჰანსონის წინააღმდეგ თანამემამულეს მიშელ პლატინის დაუჭირა მხარი.

„მნიშვნელოვანია, რომ უეფას პრეზიდენტად პლატინი ავირჩიოთ — თქვა დომენეკმა — თუ ის ვერ გაიმარჯვებს, ევროპული ფეხბურთი ბევრს დაკარგავს, რამეთუ ამ ადამიანს ფეხბურთისადმი სწორედ ევროპული დამოკიდებულება აქვს“.

ერთი სიტყვით, „ლურჯების“ თავკაცი დარწმუნებულია, რომ „ბებერ კონტინენტზე“ საფეხბურთო საქმეებს სწორედ მიშელ პლატინი უნდა გაუძღვეს.

„მისი იდეები ყველასთვის სასარგებლოა. ზოგ ქვეყანას ბევრი ფული აქვს, ზოგი პირიქით, ღარიბია და ამიტომ, ყველაფერმა მთლიანად სამ-ოთხ მდიდარ ქვეყანაში რომ მოიყაროს თავი, დამერწმუნეთ, ფეხბურთის განვითარებისათვის ძალიან ცუდი იქნება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, უპირველეს ყოვლისა ფეხბურთზე ვიფიქროთ. მთელ რიგ ქვეყნებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შანსი იმისა, რომ დიდებს გაეჯიბრონ და დარწმუნდნენ, რომ მათი გამოწვევის უნარი შესწევთ“.

თავად რაიმონ დომენეკიც სწორედ იმ პერიოდში თამაშობდა ფეხბურთს, როდესაც 51 წლის მიშელ პლატინი. ამასთან დაკავშირებით ფრანგთა მწვრთნელი ამბობს:

„ვერ გამიგია, აქამდე უეფას პრეზიდენტი რომელიმე დიდი ვარსკვლავი რატომ არ იყო? ბოლოს და ბოლოს ფეხბურთს ხომ ფეხბურთელები ქმნიან. მიშელი დროის ადმინისტრირებას კი არ გადაჰყვება, ფეხბურთსა და მის განვითარებაზე იფიქრებს“.

მოგეხსენებათ, პლატინის კონკურენტი 77 წლის ლენარტ იუჰანსონია, რომელიც ახლაც ამ თანამდებობაზეა და გამარჯვების შემთხვევაში მეხუთედ გახდება ევროპული ფეხბურთის მმართველი. არჩევნები 26 იანვარს დიუსელდორფში გაიმართება. იუჰანსონსა და პლატინის შორის არჩევანს უეფას 52 წევრი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციათა წარმომადგენლები გააკეთებენ.

**პაპუნა ქედია**

# ვაიო ჯენოას



**მარკო დი ვაიო** „ჯენოაში“ გადასვლას დაყაბულდა და „როსობლუსთან“ ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„მონაკოს“ აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა განაცხადა, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში იტალიაში დასაბრუნებლად მუშაობდა და უპირველეს ყოვლისა „მილანის“ ვარიანტს განიხილავდა, მაგრამ გასულ უქმეებზე დაირხა ხმა, რომ დი ვაიომ ისევ „მონაკოსთან“ გამონახა საერთო ენა და, თურმე სწორედ ამ დროს შეუთანხმდა იგი სერია **B**-ს წარმომადგენელს.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ დი ვაიო „ვალენსიიდან“ „მონაკოში“ გადავიდა და ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ საგრაფოს გუნდის შემადგენლობაში „პარმასა“ და „იუვენტუსის“ ყოფილი ვარსკვლავი მხოლოდ ექვსჯერ მოხვდა...

მარკო დი ვაიოს იტალიის ნაკრების შემადგენლობაში 14-ჯერ აქვს ნათამაშები. სულ ადრე ის გამოდიოდა „სალერნიტანაში“, „ბარიში“, „ლაციოსა“ და „ვერონაში“. სერია **A**-ში პირველად 1994-95 წლების სეზონში ითამაშა.

**პაპუნა ქედია**

# ფრანჩესკო ტოტი ნორმალურია?
## დიდ პატივს ვცემ და ფეხი დამისხლტა



**და აი**, იტალიელების წინაშე კიდევ ერთხელ დადგა წლების განმავლობაში უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: ფრანჩესკო ტოტი ნორმალურია? კვირას, „ლივორნოსთან“ შეხვედრისას მოედნიდან ხომ გააძევეს და მერე თავის პირად მწვრთნელს ვიტო სკალას ხელი ისე ჰკრა, მიწაზე გააგორა. ასეთი იყო „რომას“ კაპიტნის რეაქცია ფაბიო გალანტესთან შეხლაზე.

თავიდან, ერთი შეხედვით, მსაჯმა ორივე ფეხბურთელი დააშოშმინა, მაგრამ როდესაც ტოტის მეორედაც დაუძახა, ის კი არ მიუახლოვდა, მოთმინების ფიალა აევსო და წითელი ბარათი ამოიღო. ამან მსოფლიოს ჩემპიონი მთლად გაახელა. შეგირდის დასაშოშმინებლად მოედანზე ზემოხსენებული პირადი მწვრთნელი შევიდა, მაგრამ მუჯლუგუნი მიიღო.

ბოდიში მოგიხადათ? — ჰკითხეს სკალას მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

„ბოდიში თუ მომიხადა? — გაიკვირვა მასწავლებელმა — რისთვის უნდა მოეხადა ბოდიში? ჩემი და ფრანჩესკოს მეგობრობა ამ ინციდენტით ხომ არ განისაზღვრება. ჩვენს შორის პრობლემა არასდროს ყოფილა“.

სკალა მართლაც დიდი ხანია რაც ტოტის ხელმძღვანელობს და გვერდში უდგას. განა მარტო „რომაში“? იგი ტოტისთან ერთად სანაკრებო შეხვედრებზეც დადიოდა.

„მეგობარი გვერდში მაშინ უნდა ამოგიდგეს, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდები — განუმარტა სკალამ ჟურნალისტებს, რომელთაც ეს, ალბათ, არ იცოდნენ — სხვანაირად მეგობრობა ძალიან ადვილია. ჩემი და მისი ურთიერთობა სამსახურს სცილდება. ფრანჩესკოს მძიმე კვირა ჰქონდა, რადგან ბიძაშვილი უწევს საავადმყოფოში. ის მძიმედ არის. ჩვენ კარგ და ცუდ დროებას ერთად ვატარებთ“.

შემდეგ სკალამ ისიც თქვა, რომ ის ტოტიმ კი არ წააქცია, არამედ ფეხი დაუსხლტა:

„ფეხი დამისხლტა, რადგან აუტის ხაზს გარეთ სინთეტიკური ბალახი იყო. მოკლედ, მე და ტოტი ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ და თუ მაინც გამოსასწორებელი აქვს რაიმე, ამისათვის შემდეგ შეხვედრაში ორი გოლი უნდა შეაგდოს“.

მაგრამ როდის იქნება ეს შემდეგი შეხვედრა კაცმა არ იცის. ყველაფერს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს. თუ ეს კომიტეტი „რომას“ კაპიტანს ერთ თამაშიანზე მკაცრ დისკვალიფიკაციას გამოუტანს, მაშინ „ჯალოროსი“ „ინტერთა“ საჩემპიონო შეხვედრაში მის გარეშე იქნება.

ცნობისთვის: ეს ფრანჩესკო ტოტისთვის უკვე მეცხრე გაძევება იყო და შედეგად იგი სერია A-ს ყველაზე მეტწითლიანი ფეხბურთელიც გახდა.

აი, „რომას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი კი ერთი შეხედვით ყველასათვის მოულოდნელად გაბრაზდა:

„სკალა ის ადამიანია, რომელთანაც ტოტი დედამისის შემდეგ ყველაზე ახლოსაა და ასეთი რამ მისთვის არ უნდა გაეკეთებინა. ეს საზიზღარი საქციელი იყო. მეორე მხრივ კი, თავად იმ ეპიზოდში, თუ ტოტის აფრთხილებდნენ, მაშინ გალანტე თავიდანვე უნდა გაეგდოთ“.

**პაატა ძედია**

# სტანკოვიჩი: ინტერის მტერი ინტერია



**„ინტერის“** სერბი ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი ამბობს, რომ მიმდინარე სეზონი იტალიაში გატარებულ სეზონთაგან მისთვის საუკეთესოა, რადგან მისი გუნდი ჩემპიონის ტიტულთან ახლოს არის.

კვირას, სერია A-ს მე-20 ტურში სერბმა „ფიორენტინას“ ანგარიში გაუთანაბრა, რის შემდეგაც მისმა თანაგუნდელებმა კიდევ ორი შეაგდეს და „შავ-ლურჯებმა“ ზედიზედ მე-13 გამარჯვება მოიპოვეს. ამის პარალელურად, „რომამ“ ლივორნოში ფრე ითამაშა, რის შედეგადაც ცხრილის სათავეში მილანელებს 11 ქულიანი უპირატესობა დარჩათ.

„დიახ, რაც იტალიაში ვარ ასეთი კარგი სეზონი ჯერ არ მქონია. აქ საკმაოდ ახალგაზრდა ჩამოვედი და უნდა გითხრათ, რომ გამიჭირდა. იმ პასუხისმგებლობების გაძლება, რომელთაც ადამიანს სერია A აკისრებს, იოლი ნამდვილად არ არის. ახლა, საქმეები უკეთ და უკეთ მიდის. ყველაფერი იოლდება იმიტომაც, რომ თანაგუნდელები საგანგებოდ მიდგანან მხარში. ჩვენ ერთად ვცდილობთ უშეცდომო, სრულყოფილი ფეხბურთი ვითამაშოთ. „ფიორენტინასთან“, იმ მომენტს თუ არ ჩავთვლით, როდესაც გოლი გავუშვით, უპირატესობა ჩვენი იყო. ჩამორჩენაც გამოვასწორეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ. რაც შეეხება „სკუდეტოსთვის“ ბრძოლაში კონკურენციას, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ერთადერთი მეტოქე „ინტერია“. მთავარია ბრძოლა არ შევანელოთ და ერთი წამით არ ვიფიქროთ, რომ უკვე ჩემპიონები ვართ“.

თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია „ინტერის“ კიდევ ერთი უცხოელი ფეხბურთელი ესტებან კამბიასოც. მან თქვა:

„არ გამოვრიცხავ, რომ ამ სეზონში საუკეთესო თამაში „ფიორენტინასთან“ ვაჩვენეთ. თამაშით ნამდვილად კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ხასიათზე მუშაობა კიდევ გვმართებს. ამ მხრივ კარგი ნიშანი იყო, რომ პირველი გოლის გაშვების მიუხედავად არ ავღელდებულვართ და მეტოქეს თამაში შემოვუტრიალეთ. მეორე მხრივ, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რადგან გოლი ნებისმიერ თამაშში შეიძლება გავუშვათ“.

შემდეგი სამი თამაში კი „შავლურჯებს“ „სამპდორიასთან“ ელით — ორი თასზე და შუაში ჩემპიონატისა.

„თუ „სამპდორიასთან“ კუპა იტალიაზე გავიმარჯვებთ, ფინალში გავალთ. ფინალი რამდენიმე თვის მერეა, ასე რომ, მანამდე სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში უნდა მოვახერხოთ ძალთა მობილიზაცია“ — დასძინა არგენტინელმა.

**პაატა ძედია**

# ბრონძეტი რონალდოს მოხარშულს იცნობს

**თქვენთვის** ალბათ უკვე კარგად ნაცნობმა ფიფას აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ მორიგ ტრანსფერზე კომენტარები გააკეთა. შეგახსენებთ, რომ რასაც ბრონძეტი ამბობს, ძირითადად ისეც ხდება. იტალიელმა აგენტმა ამჯერად რონალდოს „მილანში“ სავარაუდო გადასვლაზე ისაუბრა.

„განწყობა ძალიან ოპტიმისტურია და ვფიქრობ, პრობლემები არ შეიქმნება, რონალდო „მილანში“ გადავა. მასაც ეს უნდა, მხოლოდ „როსონერიზე“ ფიქრობს, ინგლისიდან, გერმანიიდან, ემირატებიდან და ამერიკიდან მიღებულ წინადადებებს არც განიხილავს“ — განაცხადა ბრონძეტიმ.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კვლავ აღნიშნა, რომ „რეალთან“ მოლაპარაკებას არ აპირებს და „როსონერი“ ბრაზილიელ ფორვარდს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიმატებს, თუ იგი თავისუფალი აგენტი გახდება.

ერნესტო ბრონძეტი: „რეალის“ ხელმძღვანელობას უკვე ვესაუბრეთ. ახლა ბურთი და მოედანი რონალდოს ხელშია, მან იცის, რაც უნდა გააკეთოს. როგორც კი თავის პრობლემას მოაგვარებს, „მილანში“ გადავა“.

მოგეხსენებათ, „მილანს“ მასიმო ოდოს დამატებაც უნდა და „როსონერში“ გადასვლა თავად „ბიანკოჩელესტის“ კაპიტანსაც სურს. ამიტომ გასულ კვირას — „ლაციო“ — „მილანის“ მატჩში ოდო არ ათამაშეს, ბრონძეტიმ კომენტარი ამაზეც გააკეთა.

„ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ნორმალურად მოიქცა, იგი გიჟი არ არის. შექმნილ ვითარებაში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ოდოს არ უნდა ეთამაშა. შედგება თუ არა ტრანსფერი, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მგონია, რომ მხარეები შეთანხმებას შეძლებენ“ — დასძინა ბრონძეტიმ.



**კოკი კანდელაკი**

# მილიონები რონალდუს

**ალექს ფერგიუსონი** მზადაა გასაშტერებელი კონტრაქტი შესთავაზოს კრიშტიანუ რონალდუს, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში კვირაში 100 ათას გირვანქას მიიღებს.

ამით „მანჩესტერი“ „რეალისა“ და „ბარსელონას“ ინტერესს ჩააქრობს.

ახლა რონალდუს კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს, სავარაუდო 2 წლის დამატებით და კვირაში 50 ათასს იღებს, ახალი კონტრაქტი კი მას ხელფასით უეინ რუნისა და რიო ფერდინანდს გაუტოლებს. ჯამურად, 5-წლიანი ხელფასი 26 მილიონ გირვანქას უდრის.



**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არამი იყოს ბეჰრამიზე



**იტალიის** ჩემპიონატის მე-20 ტურის ბოლო შეხვედრამ მონაწილეების, „ლაციოსა“ და „მილანის“ მწვრთნელებზე ასეთი შთაბეჭდილება დატოვა: რომაელთა თავკაცმა დელიო როსიმ თქვა, რომ მისი ბიჭები გამარჯვებას იმსახურებდნენ, შავ-წითლების შეფმა კარლო ანჩელოტიმ კი განაცხადა, მსაჯი ვალდებული იყო ვალონ ბეჰრამისთვის წითელი ბარათი ეჩვენებინაო.

ეპიზოდი, რომლის გამოც ანჩელოტის და არა მხოლოდ მისი აზრით მსაჯს „ლაციოს“ ფეხბურთელი უნდა გაეგდო ასეთი გახლდათ: ბეჰრამიმ ალბერტო ჯილარდინოს კანჭზე დააბიჯა და მილანელ ფორვარდს ძვალი რომ არ გაუტყდა, მხოლოდ ბედის დამსახურებაა. და მსაჯმა მასიმილიანო საკანიმ რა ქნა? რა და, ჯილარდინო დააჯარიმა.

ანჩელოტი: „ამ ეპიზოდის შეფასება მხოლოდ და მხოლოდ წითელი ბარათით შეიძლებოდა. მსაჯი სერიოზულად შეცდა“.

რამდენად სერიოზულია ჯილარდინოს ტრავმა, მომავალი ტესტირება გამოაჩენს, იმწუთას კი ფეხბურთელი, ბუნებრივია, შეცვალეს და ყინული დაადეს.

„ზოგადად კი თამაშით უკმაყოფილო არ გახლავართ. მართალია, ისე ორგანიზებულნი არ ვიყავით, როგორც საერთოდ ვართ ხოლმე მაგრამ „ლაციო“ გვარიანი პრესის ქვეშ გვყავდა. დაცვამ შესანიშნავად ითამაშა, თავდასხმაში კი ბოლო დარტყმა გვაკლდა“ — დააგვირგვინა ანჩელოტიმ.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა მეკარეთაგან თავის გამოჩენა უფრო მილანელ დიდას მოუხდა.

„ლაციოს“ თავკაცი დელიო როსი: „დღეს ჩემმა გუნდმა „მილანზე“ მეტი საგოლე მომენტი შექმნა და გამარჯვებასაც იმსახურებდა, თუმცა კონტრშეტევებისას რამდენიმე შეცდომა მაინც დავუშვით. ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა, საერთოდ კი, მოდი ნუ დაგვავიწყდება, რომ ოთხი თვის წინ ფაქტობრივად ცალი ფეხით სერია **B**-ში ვიყავით“.

ბუნებრივია, როსის ბეჰრამისა და ჯილარდინოს ეპიზოდზეც ჰკითხეს.

„იმ ეპიზოდში ბეჰრამი გაძევებას არ იმსახურებდა“ — განაცხადა მწვრთნელმა.

შეხვედრის გმირი კი უთუოდ ზემოხსენებული ბრაზილიელი მეკარე დიდა გახლდათ, რომელსაც, მოგეხსენებათ, ტრავმის გამო ორი თვე ჰქონდა გაცდენილი.

დიდა: „რომში თამაში ყოველთვის ძნელია, სტუმრად ქულის აღებას კი რა სჯობს. რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას, საბედნიეროდ მოსალოდნელზე ადრე დავბრუნდი. რამდენიმე თამაშიც და ვფიქრობ, ყველაფერი ნორმაში ჩადგება“.

**ბაჩუნა ქედია**

# ათი წუთი და ხელახლა

„არსენალ“ — მანჩესტერის“ საკვირაო თამაშის შემდეგ, არსენ ვენგერმა თქვა, რომ „მანჩესტერს“ სულ რაღაც ათი წუთი აშორებდა ჩემპიონობას, მაგრამ ტიერი ანრიმ კვლავაც საომარი დაუტოვა. ანრის ზღაპრულმა თავურმა მსაჯის დამატებულ დროში საერთოდაც მოაგებინა მეთოფეებს.

ვენგერმა თქვა: „10 წუთი რჩებოდა და ჩვენ ვაგებდით. ისინი ჩემპიონები იყვნენ, აბა რა. ახლა შანსი სხვასაც დარჩა. ეგებ ჩვენ და „ლივერპულს“ ნაკლებად, მაგრამ ვინ იცის? მაგრად ითამაშეს, ბრწყინვალე გოლი გაგვიტანეს, მაგრამ ვან დერ სარი დროის გაყვანას ცდილობდა, რაც მათ წინააღმდეგ შეტრიალდა“.



მეორე ტაიმში, რუნის წაწოლილი თავურს რობ ვან პერსიმ უპასუხა, მესამე დამატებულ წუთზე კი ანრიმ გაიტანა.

„მანჩესტერს“ შეეძლოთ 9 ქულით გაესწრო „ჩელსისთვის“, მაგრამ სხვაობა კვლავ 6 დარჩა.

ალექს ფერგიუსონი ცდილობდა გულგატეხილი არ ყოფილიყო: „არაფერი წახდენილა. კვლავ 6 ქულას ვიგებთ და ბურთებიც უკეთესი გვაქვს. იმ პოზიციებიდან 2 გოლი არ უნდა გაგვეშვა. ეს სხვა გასვლითი თამაშებისთვის უნდა გავითვალისწინოთ“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლომი ლი



**ინგლისურმა** „მიდლსბრომ“ სამხრეთ კორეის ნაკრების ფორვარდი დონგ-გუკ ლი შეიძინა მას შემდეგ, რაც აზიელს ინგლისში სამუშაო ვიზა მისცეს. 27 წლის ფეხბურთელს ვიზისთვის საჭირო სანაკრებო მატჩების რაოდენობა (75%) არ ჰქონდა, მაგრამ ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამონაკლისი დაუშვა. საქმე ისაა, რომ ლიმ ნაკრების თამაშების უმეტესობა ტრავმების გამო გამოტოვა. „მეფე ლომმა“ (ლის მეტსახელია) ეროვნულ გუნდში მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე ითამაშა, როცა 19-ის იყო, მაგრამ გუს ჰიდინკმა გუნდს მიღმა დატოვა 2002-ის მუნდიალზე, რომელსაც სამხრეთ კორეამ და იაპონიამ უმასპინძლეს.

დიკ ადვოკაატს უნდოდა მისი აყვანა მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე, თუმც მუხლის ტრავმამ კვლავ ნაკრებს გარეთ დატოვა. სამაგიეროდ, კორეის ჩემპიონატში 2004-05 და 2005-06 წლების სეზონებში საუკეთესო მეგოლე გახდა და სწორედ ამიტომ მიიწვია „მიდლსბროს“ მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა სამი კვირით გუნდში. საუთგეიტის ფეხბურთელი მოეწონა და დაიტოვა.

დონგ-გუკ ლის მცირე ევროპული გამოცდილება აქვს. იგი ადრე ბრემენის „ვერდერში“ იყო, სადაც რამდენიმე მატჩი ითამაშა და გოლი არ გაუტანია.

**ირაკლი ნინიძე**



# ხელი ყველას, შევჩენკოს გარდა

**„ჩელსის“** აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ ჟოზე მაურინიუს არ უნდოდა ანდრეი შევჩენკოს ყიდვა, მაგრამ რომან აბრამოვიჩმა მწვრთნელის უკითხავად მიიყვანა უკრაინელი გუნდში. ამის შესახებ ადრეც ვარაუდობდნენ ინგლისურ მედიაში, თუმც „ჩელსის“ შეფებიდან საჯაროდ არავინ აცხადებდა.

ეს ვარაუდი „ლივერპულთან“ 0:2 წაგების მერე კიდევ უფრო გამყარდა, რაკი ჟოზე მაურინიუმ მატჩის შემდეგ შევჩენკოს გარდა ყველა ფეხბურთელს ჩამოართვა ხელი.

პიტერ კინიონი, შეიძლება ითქვას, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა „სანის“ ჟურნალისტმა ჰკითხა, მართლა აბრამოვიჩის პირადი ტრანსფერია თუ არა შევჩენკო. „უკრაინელი ფორვარდის ყიდვაზე ჯერ კიდევ ადრე გვქონდა საუბარი, სანამ ჟოზე მაურინიუ მოვიდოდა გუნდში. ეს ჩვენი იდეა იყო, მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდი გვჭირდებოდა და ვისთვისაც უნდა გეკითხათ, ნებისმიერი ანდრეი შევჩენკოს დაგისახელებდათ. მისი შეძენა 2005-ში და 2004-ში ვერ მოვახერხეთ და მხოლოდ შარშან შევძელით“.

და მაინც, პიტერ კინიონი ამბობს, რომ ზოგადად, ტრანსფერებში ბოლო სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნის და მთელი კლუბი მხარს უჭერს ჟოზე მაურინიუს: „ჩელსის“ პატრონი ყველანაირად ეხმარება მწვრთნელს და ნდობას უცხადებს. თავად ჟოზემ თქვა გასულ კვირას, რომ ლონდონში ცხოვრება მოსწონს და კონტრაქტის ამოწურვამდე, ანუ 2010 წლამდე დარჩება. კლუბში ამჟამად, ასე ვთქვათ, ჯანსაღი დაძაბულობაა, რაც „ჩელსის“ წინსვლის სურვილითაა განპირობებული. რაც შეეხება „ლივერპულთან“ მარცხს, დარწმუნებული ვარ, წაგების შემდეგ კვლავ ატყდება საუბარი „ჩელსიში“ არსებულ კონფლიქტზე, არადა, გუნდი ჩვეულებრივ შრომობს და განსაკუთრებული არაფერი არ ხდება. მთავარ საკითხებს კლუბის პატრონი, დირექტორატი და მწვრთნელი ერთად არჩევენ. ჯილდოების მოსაგებად შეკრული გუნდი გვჭირდება. როგორც ნებისმიერ ბიზნესში, შესაძლოა, ადამიანებს ერთ საკითხზე სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ და ამიტომაც არის საჭირო ერთმანეთთან კონსულტაციები. „ჩელსი“ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში თამაშობს, რაც თავისთავად უდიდესი პასუხისმგებლობაა. პატივს ვცემთ ჟოზე მაურინიუს და მის შრომას, რადგან სწორედ ჩვენ ავირჩიეთ იგი“.

სატრანსფერო პოლიტიკაზე პიტერ კინიონმა განაცხადა: „ლივერპულთან“ მატჩისთვის უკვე სამი ცენტრალური მცველი დაგვაკლდა ტრავმის გამო, მაგრამ იანვრის სატრანსფერო პოლიტიკის სპეციფიკა ისეთია, რომ იმ ფეხბურთელების კლასი, რომლების დამატებაც ახლავე შეგვიძლია, არ გვაკმაყოფილებს. გვსურს, რომ ჯონ ტერიმ და ფრენკ ლამპარდმა „ჩელსისთან“ კონტრაქტები გაახანგრძლივონ და ისინი კარიერის ბოლომდე აქ დარჩნენ. ფაქტობრივად, დასწრებაზე ვთამაშობთ, რადგან ასეთ საკითხებზე, როგორც წესი, სეზონის ბოლოს საუბრობენ. ხოლო რაც შეეხება ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ყველაფერი წინაა, კიდევ 14 ტური დარჩა და ჯერ არაფერი არაა გადაწყვეტილი“.

**ირაკლი ნინიძე**

# მინდა, ქვეყანა შემოვიარო!

## პინტურიკიო კონელიანოდან



**ალესანდრო დელ პიერო ტურინის „იუვენტუსის“ სიმბოლო და იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი სახეა. რობერტო ბაჯოს შემდეგ იტალიურ ფეხბურთს ასეთი ვარსკვლავი და ტალანტი არ ჰყოლია. რა თქმა უნდა, ფრანჩესკო ტოტი უნდა ვახსენოთ, მაგრამ სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მილიონობით ფანების სიყვარულით ტოტი დელ პიეროსა და ბაჯოს მაინც ვერ შეედრება. როგორც ცოტა ხნის წინ მარჩელო ლიპიმ თქვა, დელ პიერო იტალიურ ფეხბურთში შემორჩენილი ერთ-ერთი უკანასკნელი სიმბოლოა. გასულ წელს დელ პიერომ უკვე დაამყარა ერთი ღირშესანიშნავი რეკორდი — გახდა „იუვენტუსის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. ტურინელთა კაპიტანი ნელ-ნელა მეორე აღსანიშნავ მიღწევასაც უახლოვდება — წინა შაბათს „ბარისთან“ „ბებერი ქალბატონის“ მაისურით მან მე-500 მატჩი ჩაატარა და ამ მხრივ „იუვეს“ კაპიტანს მხოლოდ ბეპე ფურინო (528) და გაეტანო შირეა (552) უსწრებენ**

დელ პიერო 1974 წლის 9 ნოემბერს კონელიანოში დაიბადა ელექტრიკოს ჯინო დელ პიეროს ოჯახში. მისი დედა ბრუნა დიასახლისია, უფროსი ძმა, სტეფანო, ასევე ფეხბურთელი იყო და „სამპდორიაში“ თამაშობდა, მაგრამ ტრავმამ ხელი შეუშალა და ნაადრევად დაასრულა კარიერა.

ალესანდრო ორ მეგობართან, ნელსონთან და პიერპაოლოსთან ერთად ბავშვობიდანვე აგორებდა ბურთს ეზოში. სამივეს ფეხბურთელობა სურდა, მაგრამ ეს მხოლოდ დელ პიერომ შეძლო, რითაც თავისი მეორე ოცნება — სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა — აისრულა. რადგან დელ პიეროს ოჯახს მოგზაურობის საშუალება არ ჰქონდა, იგი პატარაობისას სატვირთო მანქანის მძღოლობაზე ოცნებობდა, რათა მრავალი ქვეყანა მოევლო.

დელ პიერო თავდამსხმელისთვის დაბალია, განსაკუთრებული ფიზიკური ძალით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ მან მაინც შეძლო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველა დროის გამორჩეულ ფეხბურთელად ქცევა. იგი ჩვეულებრივ მეორე ფორვარდად თამაშობს და ნახევარდაცვას თავდასხმასთან აკავშირებს. ამ პოზიციას იტალიაში „ტრექვარტისტას“ ეძახიან. კარიერის საუკეთესო წლებში იგი საუცხოო დრიბლინგით გამოირჩეოდა, ხოლო საგოლე სიტუაციაში აღმოჩენილი თითქმის არასოდეს უშვებდა შანსს ხელიდან. „იუვენტუსის“ კაპიტანი ასევე ცნობილია, როგორც საჯარიმო დარტყმებისა და პენალტების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი მსოფლიოში. დელ პიერო მეტოქის საჯარიმო მისადგომებთან ძალიან საშიშია, რადგან, როგორც წესი, ჩვეული მოჭრილი დარტყმებით მეკარეებს შანსს არ უტოვებს. ამ მონაკვეთს იტალიაში „ლა ზონა დელ პეროს“ ანუ დელ პიეროს ზონას ეძახიან.

მას სამი მეტსახელი აქვს. ყველაზე ცნობილი „პინტურიკიოა“, რომელიც დელ პიეროს „იუვენტუსის“ აწ გარდაცვლილი მფლობელის ჯანი ანიელის ერთი ხუმრობიდან დიდი ხანია, მოჰყვება. როდესაც იგი „ბებერ ქალბატონში“ ახალმოსული იყო, ანიელიმ დელ პიერო ცნობილ და ნიჭიერ პერუჯელ მხატვარ პინტურიკიოს შეადარა, რომელიც ისეთ დიდ მხატვრებთან გატოლებას ცდილობდა, როგორებიც რაფაელი და კრავაჯო არიან. „დიდი მხატვრები“ კი მაშინ, ანიელის ვერსიით, რობერტო ბაჯო იყო. მეორე მეტსახელი „ილ ფენომენო ვერო“ ანუ ნამდვილი ფენომენია, მესამე კი „მისტერ „იუვენტუსი“, რასაც ახსნა არ სჭირდება.

„პინტურიკიოს“ პროფესიული კარიერა 1991 წელს „პადოვაში“ დაიწყო. მან 14 მატჩში 1 გოლი გაიტანა და 1993 წელს უკვე „იუვენტუსში“ იყო. „ბებერ ქალბატონში“ მისი დებიუტი სექტემბერში „ფოჯასთან“ შეხვედრაში შედგა. შემდეგ იგი „რეჯინასთან“ შეცვლაზე შეუშვეს და გოლიც გაიტანა. ხოლო როცა პირველად ძირითად შემადგენლობაში დააყენეს („პარმასთან“), ჰეთ თრიქი შეასრულა. ასე დაიწყო „მისტერ იუვენტუსის“ ერა „იუვენტუსში“.

მაშინ „ბებერი ქალბატონი“ ვარსკვლავებით იყო სავსე და რობერტო ბაჯოს დირიჟორობით ბრწყინავდა. მარჩელო ლიპიმ სწორედ ბაჯო ჩაანაცვლა დელ პიეროთი, რითაც საფუძველი ჩაეყარა მათ კონკურენციას, რომელიც მოგვიანებით ეროვნულ ნაკრებშიც გაგრძელდა. პირადად ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი არასოდეს ყოფილა. ისინი ერთმანეთზე ყოველთვის დიდი პატივისცემით ლაპარაკობენ. ფანებისა და უკვე მრავალი სპეციალისტის აზრითაც კი, ტაქტიკოსების მთავარი შეცდომა ის იყო, რომ არც კლუბში და არც ნაკრებში ბაჯოსა და დელ პიეროს ერთად თამაშის საშუალება არ მიეცათ.

ლიპის „იუვენტუსში“ მისვლიდან მოყოლებული, დელ პიერო თითქმის ყოველთვის „ბიანკონერის“ ხერხემალი იყო და არის. ჯერ ჯანლუკა ვიალისა და ფაბრიციო რავანელისთან ერთად უძღვებოდა გუნდის შეტევას, მერე ზინედინ ზიდანთან და ფილიპო ინძაგისთან ერთად. ახლა კი პაველ ნედვედისა და დავიდ ტრეზეგეს გვერდით დირიჟორობს „იუვეს“.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ დელ პიეროს კარიერის ორი ყველაზე ცუდი მომენტი. როგორც გითხარით, მისი ერთ-ერთი მთავარი მინუსი ფიზიკური მონაცემებია, ასევე სათანადო სისწრაფის არქონა. მართალია, ეს „პინტურიკიოს“ თავიდან ხელს თითქმის არაფერში არ უშლიდა, არც შესანიშნავ დრიბლინგებში, თუმცა მძიმე ტრავმის მერე... 1998 წლის ოქტომბერში „უდინეზესთან“ მატჩში მას მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და დიდი დროით ჩამოშორდა ფეხბურთს. ამის შემდეგ დელ პიერომ სისწრაფე დაკარგა და ძველებური ფორმის აღდგენა ვერაფრით ვერ შეძლო. თუმცა ხშირ ეპიზოდებში ძველ „პინტურიკიოს“ ისევ ვხედავთ ხოლმე და მან ამის შემდეგაც ბევრს მიაღწია და ქომაგებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

„პინტურიკიოს“ კარიერის მეორე ყველაზე ცუდ მომენტად შეგვიძლია 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი მივიჩნიოთ. „სკუადრა აძურა“ ფინალში საფრანგეთთან 1:0-ს იგებდა, როცა მან ორი აშკარა საგოლე მომენტი გააცუდა, მოგეხსენებათ, საბოლოოდ იტალიამ ის შეხვედრა წააგო და ეს დელ პიეროს დაბრალდა.

დელ პიეროს შვიდჯერ აქვს მოგებული სკუდეტო (აქედან, 2005 და 2006 წლების ჯილდო კალჩოპოლის სკანდალის მერე „იუვენტუსს“ ჩამოართვეს), ოთხჯერ იტალიის სუპერთასი, ერთხელ თასი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, საკონტინენტაშორისო თასი, ინტერტოტოს თასი, იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატი, ორჯერ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი და, რაც მთავარია, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. გამოვარჩიოთ ისიც, რომ მას ასევე მოპოვებული აქვს ჩემპიონთა ლიგის სამი, უეფას თასის ერთი და ევროპის ჩემპიონატის ერთი ვერცხლის მედალი.

„პინტურიკიოს“, რომელსაც ასევე კარგ და კეთილ ადამიანად იცნობენ, პირადი ჯილდოებიც არ აკლია. მათგან რამდენიმე გამოვარჩიოთ — ევროპის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი, წლის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე (1998), წლის საუკეთესო მოთამაშე (1998), ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი (1997 და 1998), ყველაზე პოპულარული იტალიელი ფეხბურთელი, იტალიის ყველაზე ქარიზმატული თავდამსხმელი (2001), სერია **A**-ს საუკეთესო ბომბარდირი (1997-98 წლების სეზონში) და „იუვენტუსის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. იგი ასევე უეფას გამოკითხვაში ჩემპიონთა ლიგის ათი წლისთავთან დაკავშირებით ამ ტურნირის საუკეთესო ფორვარდად აღიარეს.

დელ პიეროს კარიერაზე უფრო დაწვრილებით საუბარი, მისი ბრწყინვალე გოლებისა თუ მომენტების გახსენება ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ დანარჩენი, ფეხბურთის ქომაგთათვის კარგად ნაცნობ ადამიანებს მივანდოთ.

მარჩელო ლიპი: „ალექსი ჩემპიონია, საოცარი ტექნიკური მონაცემებითა და ბრწყინვალე ხასიათით. როცა მას შემადგენლობაში აყენებ, იცი, რომ იმედს არასოდეს





ალესანდრო და სონია

გაგიცრუებს. იგი ყველასათვის სამაგალითოა. დელ პიეროს ისეთი თვისებები აქვს, რომლებითაც ცოტა თუ დაიკვეხნის. იგი ნამდვილი კაპიტანია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით".

დიეგო არმანდო მარადონა: „იგი იტალიის ზიდანია. დელ პიეროს თამაში უყვარს და ამისგან სიამოვნებას იღებს. იგი გრძნობით თამაშობს და იმას აკეთებს, რაც სულში აქვს. ზიდანსა და მას შორის დელ პიეროს ავირჩევდი".

ფაბიო კაპელო: „მე ჩემპიონების მჯერა და ალექსი ჩემპიონია. დელ პიერო ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია და რასაც მიაღწია, ყველაფერს იმსახურებს. როცა მას ვწვრთნიდი და სხვადასხვა მიზეზების გამო ზოგჯერ სათადარიგოთა სკამზე ვსვამდი, დანაშაულის გრძნობა მიჩნდებოდა".

კარლო ანჩელოტი: „იგი მსოფლიო დონის ფეხბურთელია, რომელსაც წარდგენა და აღწერა არ სჭირდება".

ფაბიო კანავარო: „ალექსი საოცარი ფეხბურთელი და ჯენტლმენია. ჩემი აზრით, იგი საუკეთესო ადამიანია, ვისაც მთელი კარიერის მანძილზე შევხვედრივარ".

მაურო კამორანეზი: „იგი განსაკუთრებული პიროვნება და ფეხბურთელია. მას არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი".

ანჯელო დი ლივიო: „პირველად ალეს პრიმავერაში შევხვდი, იგი უკვე ფენომენი იყო. დელ პიერო საოცარი შემართებითაც გამოირჩევა და მაშინ ყველამ ვთქვით, რომ იგი დიდი ფეხბურთელი გახდებოდა".

პეპე კამელი: „მისი შარმითა და ქარიზმით ყველა მოვჯადოვდით. იგი თამაშით ისეთ სიამოვნებას გვანიჭებს, რომ მეტს ვერაფერს მოსთხოვ".

ფაბრიციო რავანელი: „დელ პიეროს ბევრი შეუძლია. იგი საოცარ და რთულ რაღაცეებს ისე ადვილად აკეთებს, რომ..."

ალესიო ტაკინარდი: „ალექსი ვარჯიშებზე ყოველთვის ღიმილით მოდის და ყველას ტკბილ სიტყვებს ეუბნება. იგი გამორჩეული, ოქროს ადამიანია".

რუბენ ოლივერა: „დელ პიერო ჩემი კერპია. როცა „იუვენტუსში" გადავედი და ალექსს ჩემი თავი წარუდგინეს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ზეცას შევეხე".

ადრიან მუტუ: „ალე ყველასთვის სამაგალითოა. იგი თავდაუზოგავად ვარჯიშობს, ყოველგვარი ლაპარაკისა ან წუწუნის გარეშე".

ჯანლუკა ძამბროტა: „ვერაფრით ვერ ვხვდები, როგორ ჩაიარა ალესანდრო დელ პიეროს კარიერამ ისე, რომ მან „ოქროს ბურთი" ვერ მოიპოვა".

**გიორგი ჭაჭაბაძე**

## საინტერესო ფაქტები

დელ პიეროს მამა ჯინო 2001 წლის თებერვალში გარდაიცვალა. ალესანდროს ჰყავს მეუღლე სონია ამორუზო, რომელთანაც 2005 წელს დაქორწინდა. ისინი ერთმანეთს 1999 წლიდან ხვდებოდნენ.

იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფეხბურთელია. ამ მხრივ ერთ დროს საუკეთესოც იყო.

დელ პიეროს უყვარს და სამოყვარულო დონეზე იტაცებს სხვა სპორტის სახეობებიც. ასევე მუსიკა, მას თავისი დისკიც აქვს ჩაწერილი. „პინტურიკიოს" მოსწონს ჯგუფი „ოაზისი" და მის ერთ-ერთ წევრ ნოელ გალაჰერთან მეგობრობს.

პელემ იგი ყველა დროის ას საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელა. დელ პიერო ასევე მოხვდა გასული 50 წლის საუკეთესო 50 ფეხბურთელში. ეს გამოკითხვა უეფამ 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩაატარა.

„პინტურიკიო" ცნობილია, როგორც ჯენტლმენი და ქველმოქმედი. ამის გამო, მას რამდენიმე ჯილდოც აქვს მიღებული. მეგობრების თქმით, ასევე კარგი იუმორის გრძნობა აქვს.

2006 წლის ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე იგი იყო ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მონაწილეთაგანი.

ლეგენდარულმა ველომრბოლელმა ედი მერქსმა და ცნობილმა კალათბურთელმა სტივ ნეშმა განაცხადეს, რომ დელ პიერო მათი საყვარელი ფეხბურთელია.

# ფატის ძმა ფატი

**ფრანგული** „რენის" ახალგაზრდა მცველ ჟაკ ფატის „იუვენტუსში" ტრანსფერი შესაძლოა, ჩაიშალოს. 22 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ცოტა ხნის წინ თქვა „იუვეში" სიამოვნებით გადავალო, ახლა სხვანაირად ალაპარაკდა.

„გადავწყვიტე, განვიხილო „რენის" წინადადება კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობას უკვე ვესაუბრე და ახლა მწვრთნელს უნდა შევხვდე. თუ მეტი სათამაშო დრო მექნება და საინტერესო წინადადებას მივიღებ, სიამოვნებით დავრჩები. „რენის" წინაშე ვალში ვარ, თან ახლა რთული პერიოდი გვიდგას. ერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ის არის, რომ იანვარში არსად არ წავალ" — თქვა „რომას" მცველ რიკარდო ფატის უმცროსმა ძმამ.



ჟაკ ფატი

ამასობაში ტურინელების ახალი სამიზნე ნიჭიერი ურუგვაელი ედისონ კავანი გახდა. მას იტალიაში უკვე ახალ ზლატან იბრაჰიმოვიჩს ეძახიან. „დანუბიო მონტევიდეოს" 19 წლის ვარსკვლავს აპენინელი წინაპრები ჰყავს.

„კავანი ბრწყინვალე ფეხბურთელია, იგი ძალიან მოგვწონს, თუმცა პრობლემა ის არის, რომ მას სხვა მსურველებიც არ აკლია, მათ შორის, „ინტერი", „მილანი და ინგლისური გრანდები. ასე რომ, მისი ხელში ჩაგდება ადვილი არ იქნება" — აღნიშნა „იუვეს" სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ.

ედისონ კავანი: „იუვე", „ინტერი" და „მილანი" ძალიან ძლიერი კლუბები არიან, მაგრამ ახლა მხოლოდ ჩემს გუნდზე ვფიქრობ. თუმცა სერია A-ში თამაში ახდენილი ოცნება იქნება. მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში, თან ერთ-ერთი გრანდის რიგებში ყოფნას ბევრი ნატრობს, მით უმეტეს, იტალიური ფესვები მაქვს და მალე ევროკავშირის პასპორტსაც მივიღებ."

აპენინური ჟურნალ-გაზეთები კი კვლავ იუწყებიან, რომ მომავალ ზაფხულს „იუვენტუსის" მთავარი სამიზნე „ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი იქნება. ამ ტრანსფერის გასაჩარხად „ბებერი ქალბატონი" 30 მილიონ გირვანქასაც არ დაიშურებსო. აღსანიშნავია, რომ ჯერარდს ტურინელებს დიდი ხანია უკავშირებენ. „იგი ჩინებული ფეხბურთელია და გარკვეული პერიოდი მის ყიდვაზე ვოცნებობდით კიდეც" — თქვა სეკომ.

**გიორგი ჭაჭაბაძე**

# ვილას ახსოვს რიკელმე?



**ესპანური** „ვილიარეალის" პრეზიდენტმა ფერნანდო რიოგმა განაცხადა, რომ არგენტინელი გამთამაშებლის ხუან რომან რიკელმეს გუნდში ყოფნა-არყოფნა თავიდან ბოლომდე თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული.

„ჩვენმა კლუბმა რამდენიმე ცხადი პირობა წამოაყენა და ამ პირობების შესახებ მან კარგად უწყის — ბრძანა რიოხმა — მე თავად ვესაუბრე რიკელმეს ამ პირობების შესახებ. ამას ვეღარაფერს დავამატებ".

28 წლის რიკელმე მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ ბოლო ხუთ შეხვედრაში არ ათამაშა. როგორც გაზეთები იტყობინებიან, „ვილიარეალი" არგენტინელით უკმაყოფილოა, მით უფრო, რომ ის ბევრი პრივილეგიით სარგებლობს.

რიოგმა განაცხადა, რომ მან რიკელმეს თაობაზე რამდენიმე წინადადება მიიღო, მათ შორის ევროპული და ყატარის კლუბებიდან.

„რომანმა გვითხრა, რომ თავად აქ სურს დარჩენა. მასა და მწვრთნელს შორის პრობლემა არაა, პრობლემა მასა და კლუბს შორის არის" — განმარტა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალი" გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო რიკელმე 12 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ.

წლეულს სექტემბერში ვარსკვლავმა განაცხადა, რომ სანაკრებო ფეხბურთს თავს ანებებს, ასე რომ თითქოს თავი მხოლოდ საკლუბო ფეხბურთს მიუძღვნა, მაგრამ, ვაგლახ, ამ სეზონში რიკელმემ „ვილიარეალის" შემადგენლობაში ერთი გოლიც ვერ გაიტანა.

**ბაჩუნა ძედია**

# ფანტასტიკის სფეროდან

**გერმანელმა** მცველმა იენს ნოვოტნიმ კარიერა დაასრულა. 33 წლის ფეხბურთელმა ეს „კიკერთან" ინტერვიუში დაადასტურა. ვეტერანი ფეხბურთელი ამ სეზონში ტრავმებმა გააწამა და მანაც ამიტომ გადაწყვიტა ბუცების „ლურსმანზე ჩამოკიდება".



ეროვნულ ნაკრებში ნოვოტნის მუნდიალის მერე აღარ უთამაშია. სულ „ნაციონალმანშაფტის" ღირსება მას 48-ჯერ დაუცავს, საკლუბო კარიერის უმეტესი ნაწილი კი „ლევერკუზენში" გაატრა. ნოვოტნის ბუნდესლიგაში 334-ჯერ უთამაშია.

ბოლოს, გამოცდილი მცველი ზაგრების „დინამოში" თამაშობდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ მუხლზე კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდებოდა, იანვრის დასაწყისში ხორვატიული გუნდი დატოვა, მოგვიანებით კი მთლიანად კარიერის დასრულებაც გადაწყვიტა. მისი თქმით, ჯერ არ იცის, რა საქმით დაკავდება. პატარაობაში კი თურმე ბავშვისთვის ფანტასტიკური მოთხრობის დაწერაზე ოცნებობდა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 16:45 | 1 | უოტფორდი-ბლექბერნი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 3 | სუონსი-ჯილინგემი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 497 | ნორთჰემპტონი-მილუოლი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 25 | კიდერმინსტერი-სტ.რეინჯერსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:45 | 26 | ნორთვიჩი-ალტრინჰემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 27 | ქროული-გრეივსენდი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 23:45 | 28 | ექსეტერი-ვეიმუთი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:45 | 29 | ფორესტ გრინი-ალდერშოტი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 30 | გრეისი-დაგ ენდ რედი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| 23:45 | 31 | სტივენეიჯი-სტ.ალბანსი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 23:45 | 32 | უოკინგი-ოქსფორდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 33 | ბარტონი-ტემუორთი | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 23:45 | 34 | ჰალიფაქსი-იორკი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 35 | მორიკომბი-საუთპორტი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 36 | რაშდენი -კემბრიჯი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 71 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 18:30 | 73 | ბოხუმი-მაინცი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:30 | 74 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:30 | 75 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2.50 | 3.00 | 2.90 | 1.36 | 1.34 | 1.47 |
| 18:30 | 76 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 18:30 | 77 | აინტრახტი-შალკე | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 18:30 | 79 | არმინია-ჰამბურგი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 80 | ალემანია-ლევერკუზენი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 20:00 | 81 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 137 | ბეტისი-ბარსელონა | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 163 | მარსელი-ოსერი | 1.65 | 3.10 | 5.80 | 1.07 | 1.28 | 2.02 |
| 21:00 | 165 | ლილი-პსჟ | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 23:30 | 167 | სოშო-სედანი | 1.55 | 3.30 | 7.00 | 1.05 | 1.26 | 2.24 |
| 23:30 | 169 | ვალენსიენი-ლე მანი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 23:30 | 170 | მონაკო-რენი | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 23:30 | 171 | ლორიანი-ლანსი | 2.70 | 3.00 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 23:30 | 172 | ნიცა-ტულუზი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 23:30 | 173 | ტრუა-ნანტი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:30 | 174 | ლიონი-ბორდო | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 176 | ნანსი-სტ.ეტიენი | 1.90 | 3.00 | 4.20 | 1.16 | 1.30 | 1.75 |
| | | ინგლისი. Carling Cup | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 296 | ჩელსი-უიკომბი | 1.10 | 6.80 | 21.00 | 1.00 | 1.04 | 5.13 |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 297 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.40 | 3.30 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| | | ინგლისი. FA Cup | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 494 | ლუტონი-ქპრ | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 495 | სამპდორია-ინტერი | 4.50 | 3.00 | 1.85 | 1.79 | 1.31 | 1.14 |
| 23:45 | 496 | მილანი-რომა | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 298 | ტილბურგი-გრააფსხაპი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 299 | ალკმაარი-მაასტრიხტი | 1.10 | 6.50 | 17.00 | 1.00 | 1.03 | 4.70 |
| | | სპარსეთის ყურეს თასი (საამიროები) | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 17:15 | 307 | საამიროები-კუვეიტი | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 17:15 | 308 | ომანი-იემენი | 1.40 | 3.70 | 6.90 | 1.01 | 1.16 | 2.40 |
| | | თანამეგობრობის თასი (მოსკოვი) | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 14:00 | 498 | ბაქო-ლევადია | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| 14:00 | 499 | შერიფი-დორდოი დინამო | 1.12 | 6.00 | 13.50 | 1.00 | 1.03 | 4.15 |
| 16:00 | 500 | კაუნასი-მტტუ | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 18:00 | 501 | ვენტსპილსი-ბანანცი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 18:00 | 502 | პახტაკორი-შახტარი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 20:00 | 503 | ცსკა-ტადაზი | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| | | ინგლისი LDV Vans Trophy | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 311 | ბრისტოლი-ბრაიტონი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 493 | შრიუსბერი-როვერსი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 379 | ლულეო-ფროლუნდა | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 22:00 | 380 | მოდო-მორა | 1.55 | 4.40 | 3.60 | 1.14 | 1.08 | 1.98 |
| 22:00 | 381 | ფერიესტადი-ლინჩიოპინგი | 1.70 | 4.50 | 3.00 | 1.23 | 1.08 | 1.79 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 20:30 | 393 | ჰაამეენლინა-ილვესი | 1.55 | 4.20 | 3.80 | 1.13 | 1.10 | 1.99 |
| 20:30 | 394 | ტურკუ-ლუკო | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 20:30 | 395 | ესპოო-ხეიპა | 1.52 | 4.40 | 4.00 | 1.12 | 1.10 | 2.09 |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 20:30 | 396 | ესეტი-ტურკუ | 2.35 | 4.10 | 2.10 | 1.49 | 1.10 | 1.38 |
| 20:30 | 397 | კერპეტი-იუვესკიულე | 1.25 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.56 |
| 20:30 | 398 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2.15 | 4.20 | 2.30 | 1.42 | 1.11 | 1.48 |
| 20:30 | 399 | ტაპარა-ჰაამეენლინა | 2.10 | 4.10 | 2.35 | 1.38 | 1.10 | 1.49 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 406 | ვიტკოვიცე-ტრჟინეცი | 1.85 | 4.10 | 2.60 | 1.27 | 1.08 | 1.59 |
| 20:00 | 407 | ვსეტინი-ლიბერეცი | 5.30 | 4.50 | 1.35 | 2.43 | 1.07 | 1.03 |
| 20:30 | 408 | ზნოიმო-ზლინი | 2.10 | 4.10 | 2.35 | 1.38 | 1.10 | 1.49 |
| 20:30 | 409 | ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:30 | 410 | კლადნო-სპარტა | 2.25 | 4.00 | 2.20 | 1.44 | 1.11 | 1.41 |
| 21:00 | 411 | პარდუბიცე-პლზენი | 1.45 | 4.50 | 4.20 | 1.09 | 1.07 | 2.17 |
| 22:00 | 412 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1.80 | 4.20 | 2.70 | 1.25 | 1.08 | 1.64 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 427 | მარტინი-სკალიცა | 1.65 | 4.20 | 3.30 | 1.18 | 1.10 | 1.84 |
| 20:00 | 428 | ტრენჩინი-პოპრადი | 1.65 | 4.30 | 3.60 | 1.19 | 1.13 | 1.95 |
| 20:00 | 429 | ზვოლენი-ჟილინა | 1.25 | 4.50 | 7.30 | 1.00 | 1.06 | 2.78 |
| 20:00 | 430 | მიკულაში-სლოვანი | 2.45 | 4.00 | 2.05 | 1.51 | 1.11 | 1.35 |
| 20:30 | 431 | ნიტრა-კოშიცე | 2.30 | 4.10 | 2.15 | 1.47 | 1.11 | 1.41 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 21:30 | 442 | კრეფელდი-სტრაუბინგი | 1.50 | 4.40 | 4.00 | 1.11 | 1.09 | 2.09 |
| 22:30 | 443 | აისბარენი-დიუსელდორფი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 22:45 | 455 | ლუგანო-ცუგი | 1.70 | 4.20 | 3.10 | 1.21 | 1.09 | 1.78 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 13:00 | 466 | ამური-ვიტიაზი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 20:00 | 467 | კრილია-დინამო | 4.30 | 4.50 | 1.40 | 2.19 | 1.05 | 1.06 |
| 16:00 | 468 | ს.იულაევი-ნეფტეხიმიკი | 1.50 | 4.30 | 3.80 | 1.11 | 1.07 | 2.01 |
| 16:30 | 469 | ავანგარდი-ლადა | 1.25 | 4.60 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.50 |
| 15:00 | 470 | აკ ბარსი-ასკ | 1.25 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.72 |
| 15:00 | 471 | მაგნიტოგორსკი-ლოკომოტივი | 1.35 | 4.80 | 4.50 | 1.05 | 1.03 | 2.32 |
| 16:00 | 472 | სიბირი-მვდ | 1.55 | 4.50 | 3.50 | 1.15 | 1.07 | 1.96 |
| 20:00 | 473 | ხიმიკი-სევერსტალი | 1.30 | 4.60 | 5.50 | 1.01 | 1.05 | 2.50 |
| 16:00 | 474 | ნოვოკუზნეცკი-ტრაქტორი | 1.65 | 4.30 | 3.00 | 1.19 | 1.06 | 1.76 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 3.50 | 2.00 | 2.90 | 1.27 | 1.58 | 1.18 |
| 10093 | კატანია-ემპოლი | 2.65 | 2.00 | 3.80 | 1.13 | 1.56 | 1.31 |
| 10137 | ბეტისი-ბარსელონა | 5.70 | 2.20 | 2.05 | 1.58 | 1.50 | 1.06 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11093 | კატანია-ემპოლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11137 | ბეტისი-ბარსელონა | 8.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12093 | კატანია-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12137 | ბეტისი-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13093 | კატანია-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13137 | ბეტისი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 1.95 | 1.85 |
| 14093 | კატანია-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14137 | ბეტისი-ბარსელონა | 2.50 | 1.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | კატანია-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | ბეტისი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 2.20 | 1.60 |
| 16093 | კატანია-ემპოლი | 1.50 | 2.20 |
| 16137 | ბეტისი-ბარსელონა | 4.20 | 1.15 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | უოტფორდი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | კატანია-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ბეტისი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ქართული ლეგიონი

# ცქიტიშვილის რეალური სახე

## ფაჩულიას ხუთეული გაუქვირდა



ნიკა ცქიტიშვილმა ევროპა გაიხსნა

**თუ არ** ჩავთვლით ერთი-ორის წაფორხილებას, ქართულმა ლეგიონმა გასულ კვირაში ერთობ ბარაქიანად იღვაწა. ცქიტიშვილზე უკეთაც გაისარჯნენ, მაგრამ ნიკას თავგამოჩენა, მით უფრო ამ ეტაპზე, დაგვეთანხმებით, სულ სხვა მნიშვნელობისაა. ერთ დროს სუპერპერსპექტიულად შერაცხულმა ცქიტიშვილმა ნბა-ში 4 უნაყოფო წელი დაჰყო, უკან, ევროპისკენ გამობრუნდა და ახლა ესპანეთის მძლავრ ლიგაში ცდილობს რეაბილიტაციას.

სამწუთიანი ვითომდებიუტის შემდეგ ნიკა კვირას მეორედ გავიდა „სან ფერნანდოს" მაისურით მოედანზე და ეგრევე უბობოლეს „რეალს" შესკდა. ცქიტიშვილი არ დაბნეულა, უშიშრად დაუშინა სამეფო კლუბის კალათს ბურთები და 16 წუთში 10 ქულისა და 3 მოხსნის გაჩარხვა მოახერხა.

„ცქიტოს" ასე რომ ეთამაშა ოკეანგალმა, ვინ ოხერი გამოუშვებდა ნბა-დან, მაგრამ... ნიკამ კარგად დაიწყო და „რეალთან", დღესდღეობით ესპანეთის საუკეთესო გუნდთან თუ ასე ლაღად ითამაშა, სხვებთან, წესით და რიგით, არ უნდა გაუჭირდეს.

პრობლემები უკან მოიტოვა და ჩვეულ რიტმში ჩაჯდა ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელიც „დიჟონის" უთუმცაო ლიდერი იყო 2 წლის წინ და ურთულესი ტრავმის გადატანის შემდეგ ძველ ფორმას და სახელს იბრუნებს. ევროთასის მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩში „დიჟონმა" შინ დრამატულ ბრძოლაში 89:90 წააგო ესპანურ „ხირონასთან" და ვატომ თავისიანებს 32 წუთში 17 ქულა და 9 მოხსნა მიაშველა.

ნაცვლიშვილი შედეგიანი იყო საფრანგეთის ჩემპიონატის წაგებულ მატჩშიც — 16 წუთში „შოლეს" 9 ქულა ჩაუგდო.

ძლიერი კვირა ჩაატარა ლიუბლიანის „ოლიმპიის" უკანახაზელმა მანუჩარ მარკოიშვილმა. მისი გუნდი გასულ ოთხშაბათს ევროლიგის ჯგუფში ჩარჩა, როცა ბელგრადში „პარტიზანთან" 46 ქულით წააგო. მანუ ამ მატჩში საუკეთესო იყო ოლიმპიელთაგან, ხოლო ადრიატიკის ლიგაზე ლიუბლიანელებმა „ციბონა" რომ დაამარცხეს, მარკოიშვილმა ამ წარმატებაში 13-ქულიანი წვლილი შეიტანა.

3 თებერვალს გიორგი ცინცაძე ბალტიის ლიგის ოლ სტარში ითამაშებს, მანამდე კი კარგ ხასიათზეა და ეს გასულ კვირას „ატლეტასთან" მატჩშიც გამოჩნდა. ცინცაძემ 27 წუთში 10 ქულა და 6-6 მოხსნა-პასი მიითვალა, მისმა „როკმა" კი ბალტიის ლიგის მეორე ჯგუფში ლიდერობა გაიმყარა.

ორი მატჩი მოიგო ტაირონ ელისის „ნაპოლიმ" — ჯერ იყო და ევროლიგაში ჩვენი ნაკრების თავკაცის, გორდონ ჰერბერტის გაწვრთნილი „პო ორტეზი" სტუმრად დაამწუხრა, გუშინწინ კი სერია A-შიც იძალა — „კანტუს" შანსი არ დაუტოვა. სწორედ ამ მატჩში გამოირჩა საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული გამთამაშებელი და 14 ქულასთან ერთად 8 შედეგიანი გადაცემაც გამოძერწა.

გაუჭირდა ვლადიმერ ბოისას — თუ, რა თქმა უნდა, ქულების გროვებას მივიღებთ მხედველობაში, თორემ ვოვა რომ თამაშის რიტმში არ ჯდებოდეს, „სიენას" თავკაცი მას არც ენდობოდა.

„სიენამ" გასულ კვირაში ორივე მატჩი მოიგო და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ორჯერვე 15 წუთი ითამაშა, თუმც ქულა ვერ მოიხვეჭა.

თუ შედეგიანობა გვინდა, აგერ, ლევან შენგელია, ვინც ლიტვის პირველ ლიგაში 16 წუთში 15 ქულა მიითვალა. სამწუხაროდ, მისი „აკადემია" დამარცხდა.

ზაზა ფაჩულიაც საკმაოდ შედეგიანი იყო, ოღონდ გასული კვირის საწყის 2 მატჩში. მან „ბოსტონსაც" 12 ქულა ჩაუგდო და „მინესოტასაც", არადა, არც ერთთან 20 წუთიც არ უთამაშია. მომდევნო ორ მატჩში ზაზამ ცოტა მოიკოჭლა და ყველაზე საინტერესო და, რა თქმა უნდა, სამწუხარო ისაა, რომ ის ამ კვირაში „ატლანტას" ხუთეულში ერთხელაც არ გამოჩენილა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის ლიგა | ატლეტასი | ს | 94:91 | 27 | 10 | 6 | 6 |
| | | | საკალაი | შ | 95:81 | 19 | 2 | 2 | 2 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ციბონა | შ | 91:69 | 31 | 13 | 5 | 3 |
| | | ევროლიგა | პარტიზანი | ს | 60:106 | 39 | 19 | 4 | 4 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | სკაფატი | შ | 78:50 | 15 | 0 | 2 | 0 |
| | | ულების თასი | ოსტენდე | შ | 73:62 | 15 | 0 | 1 | 1 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ევროთასი | ხირონა | შ | 89:90 | 32 | 17 | 9 | 0 |
| | | საფრანგეთის ჩემპიონატი | შოლე | ს | 53:64 | 16 | 9 | 3 | 2 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი | შაულიაი | ს | 81:72 | 7 | 0 | 1 | 1 |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | ბარსელონა | ს | 73:80 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | რეალი | ს | 71:82 | 16 | 10 | 3 | 0 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | პასვალიო | ს | 83:92 | 16 | 15 | 5 | 1 |
| ტატო ვაშაკიძე | ნევეჟისი | ლიტვის უმაღლესი ლიგა | ატლეტასი | შ | 94:82 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | | ჟალგირისი | შ | 72:82 | 7 | 4 | 1 | 3 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | ევროლიგა | პო ორტეზი | ს | 72:68 | 24 | 4 | 3 | 2 |
| | | სერია A | კანტუ | შ | 91:83 | 30 | 14 | 1 | 8 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ბოსტონი | შ | 100:96 | 18 | 12 | 3 | 2 |
| | | | მინესოტა | ს | 105:88 | 19 | 12 | 2 | 4 |
| | | | შარლოტი | შ | 75:96 | 17 | 6 | 3 | 1 |
| | | | შარლოტი | ს | 95:104 | 22 | 2 | 3 | 3 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



პორტლენდელმა ბრენდან როიმ „მილუოკის" 28 ქულა ჩაუგდო

# დალასის ასა

21 იანვარი

**მაიამი 93:99 დალასი**

მაიამი: ვეიდი (31), უილიამსი (17), ჰასლემი (15)

დალასი: ჰოვარდი (25), ნოვიცკი (22 ქულა, 11 მოხსნა), სტეკჰაუსი (23)

**ფინიქსი 131:102 მინესოტა**

ფინიქსი: სტუდემაიერი (25), ბარბოსა (20), მერიონი (17 ქულა, 20 მოხსნა), ნეში (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 85:99 სან ანტონიო**

ფილადელფია: იგუდალა (20), კორვერი (13), დალემბერტი (12 ქულა, 12 მოხსნა)

სან ანტონიო: ბერი (23), დანკანი (17 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება)

**პორტლენდი 99:95 მილუოკი**

პორტლენდი: როი (28), რენდოლფი (19 ქულა, 12 მოხსნა), ვებსტერი (15)

მილუოკი: ბოიკინსი (28), ბერი (23), ბოგუტი (16), პატერსონი (15)

ეს კვირადღე დასავლელი ბობოლების ზეობისა გამოდგა. ნბა-ს მისისიპისიქითა ნახევრის სამივე ბობოლამ — „დალასმა", „ფინიქსმა" და „სან ანტონიომ" — მოიგო და მათ ყოფილი გრანდი, ბოლო წლებში კი ცხრილი ფსკერის მხეხავი და უკეთეს მომავალზე მეოცნებე „პორტლენდი" შეუერთდა.

„დალასისთვის" 21 იანვრის გამარჯვება მორიგი, მაგრამ არა რიგითი იყო. ვიცეჩემპიონები მათთვის ასე ავადმოსაგონარ დარბაზს, „ამერიკან ეალაინზ არენას" სტუმრობდნენ, სადაც შარშან ზაფხულს იქაურ „მაიამი ჰითთან" ზედიზედ 3 თამაში დათმეს, ამას მეოთხე შინაურიც მიაყოლეს და ასე სულელურად წააგეს კლუბის ისტორიაში პირველი საპლეიოფო ფინალი.

ამ სეზონში შაკილ ონილის გარეშე მოთამაშე „მაიამი" მთლად საჩემპიონო გაქანების გუნდის შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, მაგრამ „დალასთან" მოინდომა და ბურთაობაც გვარიანი გაჩაღდა. ბოლო მეოთხედის შუაწელს „დალასი" 90:84 იგებდა, მაგრამ „მაიამიმ" დუეინ ვეიდის მეთაურობით ორწუთიანი მონაკვეთი 6:0 მოიგო და 90:90 გაათანაბრა. თუმც შემდეგი ექვსი ქულა „დალასმა" გააკეთა და სტატუსკვო აღადგინა. მასპინძლებმა მაინც ბოლომდე იბრძოლეს, ჯერ 3 ქულამდე შეამცირეს სხვაობა და 93:96 ანგარიშზე საფინალო სირენამდე 5,8 წამით ადრე ვეიდმა სამქულიანიც სტყორცნა, მაგრამ ააცილა და „მაიამიმაც" ამ სეზონში შინ მეათე მარცხი ჩაიწერა. არადა, წინა სეზონში შინ სულ ჰქონდა 10 წაგება.

„დალასმა" კი ზედიზედ მეშვიდედ, ბოლო 21 შეხვედრაში კი მეოცედ მოიგო. მიჯრით შეიდმოგებიანი სერია მშვენიერი რამაა, მაგრამ კიდევ უკეთესი 13-თამაშიან მოგებათა ჯაჭვია. „ფინიქს სანზმა" მიჯრით სწორედ მე-13 მეტოქე შემუსრა და დასავლეთის ლიდერობისთვის გაცხარებულ ბრძოლაში კვლავ 2 გამარჯვებით ჩამოუვარდება შარშანდელ პლეი ოფში დასავლეთის ფინალში მის მძლეველ „დალასს". „ფინიქსისთვის" სულ იოლი გამოდგა „მინესოტას" წამოქცევა. ეს გუნდი ისედაც ძლივს ახერხებს საშუალოებში ადგილის შენარჩუნებას, ახლა კი ნბა-ს დისციპლინარების მიერ დისკვალიფიცირებული კევინ გარნეტი აკლდა.

ტრავმირებულ მეორე ლიდერ რიკი დევისთან ერთად და მთლად უშანსოდ იყო, ისევე, როგორც ალენ აივერსონისა და კრის ვებერის გარეშე დარჩენილი „ფილადელფია" „სან ანტონიოსთან".

დღის მეოთხე მატჩზე სათქმელი ბევრიც არაფერია: „პორტლენდმა" „მილუოკის" ლიდერთა ტრავმიანობით ისარგებლა და ახალბედა ბრენდან როის ლიდერობით სეზონში მე-17 თამაში მოიგო.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლოს მონატრებას შავი ღვინის გემო აქვს

## ნიკოს ილიადისი: ყველაზე ნიჭიერი მოჭიდავეები საქართველოში იბადებიან

ნუკრი ლოლაძე, ათენიდან

*ქართველი კაცი ყველგან ქართველია. სადაც უნდა წავიდეს და დაფუძნდეს, ყველგან ქართული სითბოსა და მყუდროების შექმნას ცდილობს. ბევრი წასულა საზღვარგარეთ, მითუფრო ამ ბოლო წლებში და საქართველო ყველა მათგანით ნამდვილად ვერ იამაყებს, მაგრამ ჩვენ კარგის ამბავს მოგითხრობთ. ჯარჯი ზვიადაურს საქართველოშიც ყველა იცნობს და თავის მეორე სამშობლო საბერძნეთშიც. იქ ის ილიას ილიადისია, ძიუდოისტი, რომელმაც ელადას პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა სპორტის ამ სახეობაში. ჯარჯი კარგა ხანია, იქაა, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ მწვრთნელთან და რამდენიმე ძიუდოისტთან ერთად ბერძნულ სპორტს ემსახურება, მაგრამ მასთან და გუნდის სხვა წევრებთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ისიც და სხვებიც თხემით ტერფამდე ქართველები არიან*

**ათენში** ჯარჯის ტელეფონით შევეხმიანე. შევთანხმდით, ერთმანეთს 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის აშენებულ სპორტულ კომპლექს „წმინდა კოზმოში" შევხვდებოდით. გულმა არ მომითმინა, დათქმულ დროზე ადრე მივედი და არც მინანია. რაც ვნახე, არასოდეს დამავიწყდება. სპორტკომპლექსისთვის ზღვის ნაპირზე უზარმაზარი ტერიტორიაა გამოყოფილი. როცა დაცვამ გაიგო, რომ ილიადისთან მივდიოდი, უყოყმანოდ შემიშვა. საგანგებო რუკა რომ არა, ალბათ დავიკარგებოდი. რაც სპორტული ცხოვრებისთვისაა აუცილებელი, იქ ყველაფერია: მოედნები, კორტები და ცალ-ცალკე დარბაზები თითოეული სახეობისთვის, პატარა კოტეჯები სპორტსმენებისთვის... ჩემთვის ვფიქრობდი, ასეთი სპორტული კომპლექსი საქართველოში რომ მოგვცა, რაღა გვიჭირს-მეთქი. დათქმულ დროს ჯარჯი ზვიადაურიც მოვიდა თავის მეგობარ ძიუდოისტ თედორე აბელაშვილთან ერთად, რომელიც საბერძნეთში ორი წლის წინ წავიდა და იქაურებისთვის მასმანიდისია. თბილი შეხვედრის შემდეგ დარბაზისკენ გავეშურეთ. მალე ვარჯიში იწყებოდა და საუბარი გადავდეთ. დარბაზში შესულს წინ ქართულად მოსაუბრე, დაახლოებით 50 წლის მამაკაცი გადამეღობა, აქ რატომ შემოხვედითო. ვუთხარი, ქართველი ჟურნალისტი ვარ გაზეთ „სარბიელიდან"-მეთქი. ეს კაცი საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი, ასევე საქართველოდან წასული ნიკოს ილიადისი აღმოჩნდა და მასთან ინტერვიუც შედგა.

ნიკოს ილიადისი საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტულ საქმიანობაში დიდ წარმატებას საბერძნეთში მიაღწია, საუკეთესოდ საქართველოში გატარებული წლები მიაჩნია.

*— კახეთში, დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში გავიზარდე. 1974-1979 წლებში საქართველოს ნაკრების წევრი ვიყავი. ჩემი მწვრთნელები ბიძინა მაზიაშვილი და ანზორ მარტყოფლიშვილი იყვნენ. სამწუხაროდ, აქტიურ სპორტს ძალიან ახალგაზრდა ჩამოვშორდი, 20 წლისამ მხრის ტრავმა მივიღე.*

*დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მახსოვს, ქართულ წერაში მხოლოდ მე მივიღე ხუთიანი. უმაღლესის დამთავრების შემდეგ დმანისის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" თავმჯდომარე ვიყავი, შემდეგ სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.*

*საბერძნეთში 1993 წელს წამოვედი და 1995 წელს კლუბი „ფილიპოსი" ჩამოვაყალიბე. 1997-დან 2000 წლამდე ყველა ასაკობრივ ტურნირში პირველები ვიყავით და საბერძნეთის ძიუდოს ფედერაციამ 2000 წელს ნაკრების მწვრთნელად დამნიშნა. მას შემდეგ ამ პოსტზე ვარ. სხვათა შორის, აქ მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს აფორმებენ.*

*ჩემი ოჯახი ძალიან სპორტულია, ოთხი ქალიშვილი მყავს, მეხუთე შვილი კი ჯარჯია. სამი გოგონა საბერძნეთის ხელბურთის ნაკრებში თამაშობს. მეოთხეც ხელბურთელი იყო, მაგრამ ტრავმის გამო შეეშვა თამაშს. ჩემი ძმა, მერაბი, საბერძნეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტია და პარალელურად „ფილიპოსსაც" ხელმძღვანელობს, რადგან მე ამის უფლება აღარ მაქვს.*



თედორე აბელაშვილი

მაკა დუგაშვილის ფოტო

*საქართველოში წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვდივარ. საალდგომოდ ჩემი ძმისა და წინაპრების საფლავებზე მივდივარ ხოლმე.*

*საქართველოში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს: თამაზ დავითაშვილი, ბიძინა მოხევიშვილი, შოთა ხაბარელი... ძალიან მინდოდა, შოთა ხაბარელის იუბილეზე ჩამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან სტუდენტები კორეაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მყავდა წაყვანილი.*

*ყველაზე ნიჭიერი მოჭიდავეები საქართველოში იბადებიან. ამას ისიც მოწმობს, რომ ნაკრებში ექვსი ქართველი მყავს. რაც შეეხება ჯარჯის, მან ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია. დაუღალავი სპორტსმენია და მიღწეულით არ კმაყოფილდება. თუ ასე გააგრძელებს, წინ კიდევ ბევრი წარმატება ელის.*

*ჯარჯი ძალიან მეგობრული, თბილი ადამიანი და ჩინებული მეოჯახეა. 25 იანვარს თბილისში ვიქნებით. საბერძნეთის ნაკრები საერთაშორისო ტურნირზე მომყავს...*

სანამ მწვრთნელს ვესაუბრებოდი, ნაკრების ვარჯიშს ჯარჯი ზვიადაური უძღვებოდა და, როგორც შევიტყვეთ, ეს არცთუ იშვიათად ხდება. მას მწვრთნელისგან დიდი ნდობა აქვს გამოცხადებული. საკმაოდ დატვირთული ვარჯიშის შემდეგ კი ჯარჯიმ და თედომ საუბრისთვისაც მოიცალეს. თედო საქართველოდან იმ დღეს დაბრუნებულიყო და ქართული ღვინოც ბლომად ჩამოეტანა. გოზინაყი მეც დავაგემოვნე. თედო აბელაშვილს ძალიან სურდა, რომ წარმატებებისთვის საქართველოს სახელით მიეღწია, მაგრამ ქართულმა პრობლემებმა აიძულა, მძიმე ცხოვრებისეული გადაწყვეტილება მიეღო.

თედო საგარეჯოს რაიონის სოფელ უჯარმიდანაა. საქართველოში ლევან ბიგინაშვილთან და გურამ მოდებაძესთან ვარჯიშობდა. სულ ორი წლის ჩამოსულმა ბერძნებს ორი მედალი მოუტანა — შარშან ესტონეთში ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატზე და სანტა დომინგოში მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა.

როცა კარიერას დავასრულებ, საცხოვრებლად აუცილებლად საქართველოში დავბრუნდებიო — მითხრა სევდანარევი ღიმილით.

თედომ საქართველოდან ქართული სიმღერების დისკიც ჩამოიტანა და ჯარჯის ბედნიერი სახე უნდა გენახათ, როცა ქართული ჰანგები აჟღერდა.

ოლიმპიურ ჩემპიონთან საუბარი მის კოტეჯში შედგა.

*— ათენში ცოლ-შვილთან ერთად ვცხოვრობ. ჩემი მეუღლე დედით ქართველი, ლია გრიგორიადისაა. პატარა მარიამი წლინახევრისაა. ბერძნული საკმაოდ კარგად ვისწავლე და აქაურებთან ურთიერთობა აღარ მიჭირს.*



ნიკოს ილიადისი და ჯარჯი ზვიადაური

მაკა დუგაშვილის ფოტო

*საბერძნეთის მთავრობამ, რაც დამპირდა, ყველაფერი შემისრულა. ვაა, აქ ძალიან დიდი ვალასახადები, თუმცა უკმაყოფილო მაინც არ ვარ.*

*2005 წლის მარტში მენისკის ოპერაცია გავიკეთე. ბევრი გამიცდა და წონაც მომემატა. 2005 წელს კაიროში, მსოფლიოს ჩემპიონატზე 90 კილოგრამში ვერცხლის მედალი მოვიპოვე და ისევ ამ წონაში ვაგრძელებ ჭიდაობას.*

*წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია და ძალიან სერიოზულად ვემზადები, მსოფლიოს ჩემპიონატზე რიო დე ჟანეიროში ხომ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება.*

ამ დროს ჯარჯის ტელეფონი აწკრიალდა. ოლიმპიურ ჩემპიონს თბილისიდან ბიძაშვილი, ასევე ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური შეეხმიანა. დაახლოებით ათწუთიანი საუბრის შემდეგ ჯარჯიმ მოგვიბოდიშა და განაგრძო:

*— ვიცი, საქართველოში ამბობენ, ზურაბ ზვიადაური ძველებურად ჭიდაობას ვეღარ შეძლებსო, მე კი ვფიქრობ, რომ ზურა ძველებურ ფორმას აუცილებლად აღიდგენს. ივი უკვე არის საქართველოსთვის ლეგენდარული სპორტსმენი და ჩემი წარმატებაც, უმეტესად, მისი დამსახურებაა. ვხედავდი, როგორ შრომობდა და ამით დიდ სტიმულს მაძლევდა. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და დღესაც ვსწავლობ.*

*მართალია, დიდ ტურნირებს საბერძნეთის სახელით ვჭიდაობ, მაგრამ ქართულ მონატრებას კლუბ „საგარეჯოთი" ვინაზღაურებ. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ერთადერთი ტურნირია, რომლითაც თანამემამულეებისთვის სიხარულის მინიჭება შემიძლია. ამ კლუბს ორი კარგი მოჭიდავე სჭირდება და ნანატრი წარმატებებიც მოვა.*

საბერძნეთში ილიას ილიადისი ვისაც უნდა უხსენო, ყველა დიდ პატივისცემას გამოხატავს. თვითონ კი, აი რას ამბობს:

*— აქაურებს მართლაც ვუყვარვარ, საბერძნეთში პატივისცემასაც ვგრძნობ, მაგრამ სახეზე იშვიათად მცნობენ. მე ჯერაც ჭაბუკმა მოვიგე ოლიმპიადა. საყოველთაო აზრით კი, ოლიმპიური ჩემპიონი აუცილებლად კაცი უნდა იყოს. არ მიყვარს ტელევიზიებში სიარული და კამერების წინ ტრიალი, სპორტსმენი ვარ და არა მსახიობი. ჩემი საქმე ვარჯიში და ხალხისთვის სიხარულის მინიჭებაა. სპორტსმენი თავმდაბალი უნდა იყოს.*

*ჩემი ჩვეულებრივი დღე ვარჯიშით იწყება, შემდეგ დასვენება, მერე ისევ ვარჯიში. საღამოს კი შვილთან თამაში.*

*ახალ წელს ჩემი ოჯახის წევრებთან და ქართველ მეგობრებთან ერთად შევხვდი და ქართული შავი ღვინოც დავლიე.*

*სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ, 2007 წელს, ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა!*


ლევან სეთურიძემ (მარჯვნივ) ლუკა კურტანიძეს კი სძლია, მაგრამ გიორგი გოგშელიძესთან ვერას გახდა

# პატარა გორი დიდია


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუპერფინალი არ გამოვიდა: კურტანიძე გოგშელიძემდე სეთურიძემ არ მიუშვა

ოთარ მაღლაკელიძე ბათუმიდან

**საქართველოს** ოთხდღიან ჩემპიონატზე გუშინ მედლების ბოლო სამი კომპლექტი გათამაშდა. წერტილი თავისუფალი სტილის სამმა წონითმა კატეგორიამ დასვა. აჭარული საჭიდაო დღეების გვირგვინი ლუკა კურტანიძისა და გიორგი გოგშელიძის ფინალი უნდა გამხდარიყო. მთელი ქალაქი ამ დაპირისპირებას ელოდა. ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაული ბრძოლების დროსაც კი მთავარი სასაუბრო თემა ორი მსოფლიოს ჩემპიონის მომავალი შეხლა იყო, მაგრამ ტურნირი ნანატრი სანახაობის გარეშე დასრულდა.

კვარცხლბეკზე ორივე ავიდა, ოღონდ არა იმ საფეხურებზე, რომლებიც ლამის წინასწარ იყო მათთვის გამზადებული. დღის მთავარი სენსაცია ნახევარფინალში მოხდა და მისი გმირი 20 წლის ლევან სეთურიძე გახდა. სწორედ ამ ბიჭმა შეაჩერა მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე.

კერჭისყრაზე ორი ფავორიტი რა თქმა უნდა ბადის სხვადასხვა მხარეს განთესეს და მათაც მშვიდად დაიწყეს ერთმანეთისკენ სვლა. გოგშელიძემ პირველ წრეში დაისვენა, ხოლო კურტანიძემ თბილისელ არჩილ ხუციშვილს ქულებით აჯობა. მერე ორივემ წმინდად მოიგო და ნახევარფინალშიც გავიდნენ. გოგშელიძემ იქაც ვადაზე ადრე მოამთავრა საქმე ბელდუხ გავაშელიშვილთან. კურტანიძემ კი მაყურებლისთვის უცნობ სეთურიძესთან მოულოდნელად მძიმედ დაიწყო და პირველი პერიოდი უქულოდ ჩაამთავრა. მონეტა ახალგაზრდა მოჭიდავის ფერზე დაჯდა, მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა, შეკვრა ილეთით დაავგირგვინა და უმალ ტრიბუნების ფავორიტად იქცა. უნდა გენახათ, რა ოვაციები მოჰყვა მესამე ნულოვანი პერიოდის შემდეგ მონეტის ისევ სეთურიძის ფერზე დაჯდომას. შუა პერიოდში კი ლუკას ძირითად დროშივე მოამთავრა საქმე. იღბლიანმა ახალგაზრდამ გადამწყვეტი შეკვრაც ქულით დაასრულა.

ფინალში მონეტამდე საქმე აღარ მისულა. გოგშელიძე ჩემპიონი ორ რაუნდში გახდა. ორივეში თითოქულიანი ილეთით იმარჯვა. ხოლო კურტანიძემ სათურიძის ჯავრი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუსთაველ სოლომონ ჩინჩალაძესე იყარა. ეს შეხვედრაც ორ რაუნდში დასრულდა ლუკას წმინდა გამარჯვებით.

ბოლო წელიწადნახევარი მძიმე წონაში ვიჭიდავე და მშობლიურ წონაში დასაბრუნებლად მოკლე პერიოდში 13 კილოგრამის დაკლება მომიხდა, გვითხრა კვარცხლბეკიდან ჩამოსულმა პრიზიორმა. ნებისმიერ წონას შეჩვევა ჭირდება და 96-შიც თავიდან უნდა გავშინაურდე. თუ გახსოვთ, ერთი თვის წინ გითხარით, რომ საქართველოს ჩემპიონატამდე ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომას ვერ მოვასწრებდი. ამ ტურნირზე პირველ რიგში ქართველი გულშემატკივრის პატივისცემის გამო გამოვედი. ვალდებული ვიყავი, ჩემი ხალხის თვალწინ მეჭიდავა, ყველა ჩემი და გოგშელიძის ფინალს ელოდა, მაგრამ სამწუხაროდ ასეთ სიტუაციებში არ მიმართლებს. თუნდაც ათენის ოლიმპიადა გავიხსენოთ, რომლის დაწყებამდეც ყველა ჩემპიონად მთვლიდა. ვულოცავ პირველ-მეორე ადგილზე გასულებს. სეთურიძე ახალგაზრდაა. კარგია რომ მისი სახით კიდევ ერთი სერიოზული კონკურენტი გამოჩნდა. ძლიერი კონკურენცია თითოეულ ჩვენთაგანს სასიკეთოდ წაადგება. ყველაზე მოგებული კი ამით საქართველოს ნაკრები დარჩება.

დანარჩენ ორ წონაშიც გორელებმა მოიპოვეს ოქროს მედლები. 60 კილოგრამში ნაკრების წევრ დავით პოღოსიანის არყოფნაში ყველას მისმა თანაქალაქელმა გიორგი ბალიაშვილმა აჯობა. ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორმა მართლაც საჩემპიონოდ იჭიდავა. ყველაზე მძიმე ბრძოლა კი ფინალში გადახდა აფხაზეთის სახელით მოჭიდავე მალხაზ ზარქუასთან. გიორგიმ სამრაუნდიან შეხვედრაში იმარჯვა.

74 კილოგრამში ფავორიტი გელა სალირაშვილი იყო. მთავარი ინტრიგა მისი და წონამომატებული ოთარ თუშიშვილის დაპირისპირება უნდა გამხდარიყო. კერჭისყრამ ორივე ბადის ერთ მხარეს მოახვედრა, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერ დაუპირისპირდნენ. ორი წრის გამარჯვებული თუშიშვილი ნიკო ტრაშაძემ შეაჩერა. მერე კი თავად წააგო სალირაშვილთან. ფინალში გელამ ჭაბუკთა შორის ევროპრიზიორი, სტეფანწმინდელი გიორგი მარსაგიშვილი ორ რაუნდში დაამარცხა.

ტურნირი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს კახა გეწაძეს შევაფასებინეთ:

— ბათუმური ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული და ოთხი დღის განმავლობაში დარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა საუკეთესო ბრძოლებს უყურა. ჩემთვის კი მუდმივად გადაჭედილი ტრიბუნების ცქერაც უდიდესი ბედნიერება იყო. არ შემიძლია მოულოდნელ შედეგებსაც არ შევეხო. როგორც ყველა, მეც მოუთმენლად ველოდი გოგშელიძე-კურტანიძის დაპირისპირებას, მაგრამ ნანატრი ფინალი რომ არ შედგა, მეორეს მხრივ კარგიცაა. ახალი მოჭიდავეების გამოჩენით ხომ შიდა კონკურენცია იზრდება.

| თავისუფალი |
|---|
| **60 კგ** |
| 1. გიორგი ბალიაშვილი (გორი) |
| 2. მიხეილ ზარქუა (აფხაზეთი) |
| 3. ლევან ჩაბრაძე (საჩხერე) |
| 3. ზურაბ მახარაშვილი (თბილისი) |
| **74 კგ** |
| 1. გელა სალირაშვილი (თბილისი) |
| 2. გიორგი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა) |
| 3. ნიკოლოზ ტლაშაძე (გორი) |
| 3. ელბერტ გავაშელი (თბილისი) |
| **96 კგ** |
| 1. გიორგი გოგშელიძე (გორი) |
| 2. ლევან სეთურიძე (სტეფანწმინდა) |
| 3. ლუკა კურტანიძე (აფხაზეთი) |
| 3. ბელდუხ გავაშელიშვილი (თბილისი) |



# ტოპალოვი ატოპდა

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 22 იანვარი

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) | 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 1:0 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) |

**მერვე ტურის** შემდეგ ცხრილის თავში ვესელინ ტოპალოვი მოექცა. ბულგარელმა დაძაბულ ბრძოლაში ფიდეს მეორე ნომერ ვიშვანათან ანანდს მოუგო და უახლოეს მდევარს ნახევარი ქულით გადაუსწრო. ტურნირის დაწყებიდან გათამაშებას 19 წლის აზერბაიჯანელი თეიმურ რაჯაბოვი ლიდერობდა, თუმც მერვე ტურში ლევონ არონიანთან თეთრი ფიგურებით წააგო და მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ტოპალოვმა და ანანდმა ძველინდური დაცვა გაითამაშეს. ბულგარელმა აქტიურად დაიწყო პარტია, ხელმწიფის ფლანგზე მხედარი გამოუშვა და მეტოქის რაზმში შეაჭენა. ინდოელმა საპასუხოდ კუ გააქტიურა, თეთრებს რამდენჯერმე მწარედ უკბინა და მე-18 სვლაზე ხარისხით დაწინაურდა. ანანდმა ცენტრში მდგარი პაიკები აამოძრავა, უკან დამხმარედ ლაზიერ-ეტლები ამოუყენა და მეტოქეს მიაწვა. ტოპალოვმა საპასუხოდ იერიშებს მიმართა, ანანდის ფიგურებს სამოძრაო გზები მოუსპო და 35-ე სვლაზე დაამამათა.

| სატურნირო ვითარება | | |
|---|---|---|
| 1. | ვესელინ ტოპალოვი | 6,0 |
| 2. | თეიმურ რაჯაბოვი | 5,5 |
| 3. | ლევონ არონიანი | 5,0 |
| 4. | ვლადიმირ კრამნიკი | 5,0 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 5,0 |
| 6. | სერგეი კარიაკინი | 5,0 |
| 7. | ვიშვანათან ანანდი | 4,0 |
| 8. | დავიდ ნავარა | 4,0 |
| 9. | რუსლან პონომარიოვი | 3,5 |
| 10. | ალექსანდრ მოტილევი | 3,0 |
| 11. | ლუკ ვან ველი | 3,0 |
| 12. | სერგეი ტივიაკოვი | 3,0 |
| 13. | მაგნუს კარლსენი | 2,5 |
| 14. | ალექსეი შიროვი | 1,5 |

# მსოფლიოს თასი
## დიომინო (რუსეთი). 20-21 იანვარი


ნიკოლაი პანკრატოვი, რენატო პასინი და ტობიას ანგერერი

# იტალიური სპრინტი

ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მორიგ რბოლებს რუსულმა დიომინომ უმასპინძლა. ეტაპის პროგრამაში ორი სახეობა იყო — თავისუფალი სტილით მასსტარტი და სპრინტი.

კაცთა 30 კილომეტრზე რბოლა რუსთა გასახარად ახლახან ჩატარებული „სკი-ტურის" აღმოჩენამ ალექსანდრ ლეგკოვმა მოიგო და ამით მცირედით შეამცირა საერთო ჩათვლის გერმანელ მოწინავესთან, ტობიას ანგერერთან ჩამორჩენა. ქალთა 15 კილომეტრიან დისტანციაზე კი ფინელთა უპირატესობა იყო აშკარა. მათ პირველი, მესამე და მეხუთე ადგილები დაიკავეს, მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ ფინელთა და მთლიანად, სეზონის უპირობო ლიდერი ვირპი კუიტუნენი მხოლოდ მეხუთე იყო და გამარჯვება კი რიიტა ლიზა როპონენს დარჩა.

სპრინტი კი იტალიური გამოდგა და დემინოს 1200 მეტრიან ტრასაზე ყველას არიანა ფოლისმა და რენატო პაზინიმ აჯობეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი პაზინას გამარჯვება იყო — იტალიელმა სპრინტისთვის საკმაოდ დიდი, 0,8 წამიანი სხვაობით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული რუსი პანკრატოვი.

**გია მუჯირი**

## კაცები

| 30 კმ მასსტარტი. [illegible] | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 1სთ.14წთ.04,5წმ. |
| 2. ემანუელ ჟონიე (საფრანგეთი) | +0,5წმ. |
| 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) | +1,1 |
| 4. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | +2,6 |
| 5. ჟან-მარკ გაიარი (საფრანგეთი) | +3,3 |
| **სპრინტი. 1,2 კმ** | |
| 1. რენატო პასინი (იტალია) | 2წთ.27,9წმ |
| 2. ნიკოლაი პანკრატოვი (რუსეთი) | +0,8წმ. |
| 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) | +1,2წმ. |
| 4. ვასილი როჩევი (რუსეთი) | +2,0წმ. |
| 5. მარტინ შტოკინგერი (ავსტრია) | +4,4წმ. |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 722 ქულა |
| 2. ალექსანდ ლეგკოვი (რუსეთი) | 567 |
| 3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 448 |
| 4. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 388 |
| 5. ევგენი დემენტიევი (რუსეთი) | 290 |

## ქალები

| 15 კმ მასსტარტი. თავისუფალი | |
|---|---|
| 1. რიიტა ლიზა როპონენი (ფინეთი) | 39წთ.22,0წმ. |
| 2. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | +1,4წმ. |
| 3. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | +10,4 |
| 4. ევგენია მედვედევა (რუსეთი) | 11,2 |
| 5. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 18,1 |
| **სპრინტი. 1,2 კმ** | |
| 1. არიანა ფოლისი (იტალია) | 2წთ.49,9წმ. |
| 2. კლაუდია კიუნცელ-ნიშტადი (გერმანია) | +0,3წმ. |
| 3. კიკან რანდალი (აშშ) | +0,3წმ. |
| 4. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | +0,4წმ. |
| 5. ნატალია მატვეევა (რუსეთი) | +0,7წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 917 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 634 |
| 3. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 552 |
| 4. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 466 |
| 5. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 463 |

**ტრამპლინიდან ხტომა**

# მსოფლიოს თასი
## ზაკოპანე (პოლონეთი). 21 იანვარი


იან მაზოხი

# მაზოხიზმი ქარში

უთოვლობას თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელები ხელოვნური თოვლის წყალობით კიდევ აიტანდნენ, მაგრამ საშინელმა ქარმა, გასულ უქმეებზე მთელს ევროპასა და კერძოდ, პოლონურ ზაკოპანეში რომ მძვინვარებდა, არათუ მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის ორგანიზატორებს აურია დავთრები, კინაღამ სპორტსმენის სიცოცხლეც იმსხვერპლა. თუმცა, ამ წუთისთვის ჯერაც არაა ცნობილი, გადარჩება თუ არა ჩეხი იან მაზოხი, ვისაც ნახტომის დროს ძლიერმა ქარმა ჰაერში ორიენტაცია დააკარგვინა და ძირს დაცემულმა თავი დაარტყა.

როგორც ზაკოპანეს საქალაქო საავადმყოფოს ექიმები ამბობენ, მაზოხი ჯერაც უგონადაა და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ასეთ პირობებში ორი ეტაპის გამართვას ვინ ჩივის, შაბათსაც სანახევროდ დასრულდა შეჯიბრი და გამარჯვებულად პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო, სლოვენიელი როკ ურბანსი გამოცხადდა.

## კაცები

| გიგანტური ტრამპლინი | |
|---|---|
| 1. როკ ურბანსი (სლოვენია) | 143,3 ქულა (136,0მ.) |
| 2. როარ ლოეკელსოი (ნორვეგია) | 138,8 (133,5) |
| 3. მატი ჰაუტამაეკი (ფინეთი) | 134,7 (131,5) |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 133,6 (132,0) |
| 5. ადამ მალიში (პოლონეთი) | 131,6 (132,0) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 757 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 613 |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 562 |
| 4. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 478 |
| 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 434 |

**სათხილამურო ორჭიდი**

# მსოფლიოს თასი
## ზეეფელდი (ავსტრია). 21 იანვარი

# სახლის კაცი

**დაგეგმილი** ორიდან მხოლოდ ერთი ეტაპი ჩატარდა ავსტრიულ ზეეფელდშიც, სადაც ერთმანეთს სათხილამურო ორჭიდის სპეციალისტები ეჯიბრებოდნენ.

სპრინტად წოდებულ სახეობაში ყველას მასპინძელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფელიქს გატვალდმა აჯობა, ვინაც ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ მხოლოდ მე-5 იყო, მაგრამ თხილამურებით დიდებულად ისრიალა.

ფრანგი ლამი შაპიუი მეორე იყო და მეორეზე დარჩა კიდეც, ხოლო ნორვეგიელმა მოანმა თხილამურებით 7,5 კილომეტრზე რბოლა 25-ე ადგილიდან დაიწყო და პოდიუმზე დაასრულა.

| სპრინტი (ტრამპლინიდან ხტომა + 7,5 კმ თხილამურებით) | |
|---|---|
| 1. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | |
| 21 წთ. 03,2 წმ. (მე-5 ადგილი ტრამპლინის შემდეგ) | |
| 2. ჟესონ ლამი შაპიუი (საფრანგეთი) | +22,6 (2) |
| 3. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | +34,2 (25) |
| 4. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | +41,0 (18) |
| 5. მარიო შტეხერი (ავსტრია) | +49,1 (1) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 528 ქულა |
| 2. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 505 |
| 3. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 488 |
| 4. ჟესონ ლამი შაპიუი (საფრანგეთი) | 448 |
| 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | 409 |


ფელიქს გოტვალდი

## მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში
## ჰამარი (ნორვეგია). 20-21 იანვარი



კოუ ჰიუკ ლი და ანი ფრიზინგერი

# სტაბილური ლი

**გერმანელი** ანი ფრიზინგერისა და სამხრეთ კორეელი კოუ ჰიუკ ლის გამარჯვებით დასრულდა გასულ უქმეებზე ნორვეგიულ ჰამარში გამართული მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში.

ფრიზანგერმა, ვინც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, 1000 მეტრიან დისტანციაზე წყვილი წარმატების წყალობით მიაღწია საბოლოო გამარჯვებას. 500 მეტრზე ორივე დღეს მეორე გერმანელმა ჯენი ვოლფმა იმარჯვა, მაგრამ გრძელ სპრინტში შეცდომა დაუშვა და პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. მრავალჭიდში მეორეზე ჰოლანდიელი ირენ ვიუსტი გავიდა, ხოლო ბრინჯაო კანადელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სანდი კლასენმა ირგუნა.

ფრიზინგერისგან განსხვავებით, ლიმ სტაბილურობის ხარჯზე მოიპოვა ჩემპიონობა. კორეელს არც ერთი დისტანცია არ მოუგია, მაგრამ ორჯერ მეორე იყო, ერთხელ — მესამე, ერთხელაც — მეოთხე და ჯამში მან მცირედით აჯობა 500 მეტრის ორჯერ მომგებ ფინელ პეკა კოსკელას. მესამეზე ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი შენი დევისი გავიდა, რომელმაც, თავის მხრივ, ორჯერ იპირველა 1000 მეტრიან დისტანციაზე.

### კაცები

**პირველი დღე**

500 მ 1. კოსკელა (ფინეთი) 34,80; 2. ნაგაშიმა (იაპონია) 34,97; 3. ლობკოვი (რუსეთი) 35,03.
1000 მ 1. დევისი (აშშ) 1.08,41; 2. ლი (სამხ. კორეა) 1.08,56; 3. ვენემარსი (ჰოლანდია) 1.08,67.

**მეორე დღე**

500მ 1. კოსკელა 34,94; 2. ლობკოვი 34,95; 3. ლი 35,04.
1000მ 1. დევისი 1.08,38; 2. ლი 1.08,69; 3. მორისონი (კანადა) 1.08,78.
მრავალჭიდის ჯამი 1. ლი 138,775 ქულა; 2. კოსკელა 138,840; 3. დევისი 139,435.

### ქალები

**პირველი დღე**

500მ 1. ვოლფი (გერმანია) 37,88; 2. შინიია (იაპონია) 38,29; 3. კაიკანი (რუსეთი) 38,32
1000მ 1. ფრიზინგერი (გერმანია) 1.15,12; 2. ვიუსტი (ჰოლანდია) 1.15,29; 3. კლასენი (კანადა) 1,15,57

**მეორე დღე**

500მ. 1. ვოლფი 38,07; 2. შინიია 38,14; 3. ოსუგა (იაპონია) 38,26.
1000მ. 1. ფრიზინგერი 1.15,13; 2. ვიუსტი 1.15,20; 3. კლასენი 1.15,49
მრავალჭიდის ჯამი 1. ფრიზინგერი 151,935 ქულა; 2. ვიუსტი 152,995; კლასენი 153,370



## მსოფლიოს თასი
# ნისლის ქალი



კარინ პუტცერი

**28 წლის** იტალიელ კარინ პუტცერს 2003 წლის მარტის შემდეგ არ მოეგო მსოფლიოს თასის ეტაპი და მოულოდნელად, მშობლიურ კორტინა დამპეცოში გაისროლა, სადაც ქალთა სამდღიანი პაექრობა ნისლიან ამინდში გიგანტური სლალომით დასრულდა.

პუტცერი სწორედ ამ სახეობაში იყო 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, მაგრამ მისი მატარებელი ყველას ჩავლილი ეგონა და აი, კარინმა ქომაგთა თვალწინ შეძლო სენსაციის მოხდენა და კარიერაში მერვე გამარჯვების მოპოვება.

მასპინძლები მესამე ადგილზე გასულმა დენიზ კარბონმაც გაახარა, ამათ შორის კი ამ სახეობაში ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკელი ჯულია მანკუზო მოექცა, ვინაც დოლომიტის ალპებში მართლაც ბრწყინვალედ ისრიალა — სამ სახეობაში ერთი პირველი და ორი მეორე ადგილი დაიკავა და კუდზე დააჯდა საერთო ჩათვლის ავსტრიელ ლიდერებს მარლიზ შილდსა და ნიკოლ ჰოსპს, რომლებმაც საკმაოდ სქელ ნისლში გიგანტის ტრასის ბოლომდე ჩამთავრება ვერ შეძლეს.

### ქალები. კორტინა დამპეცო (იტალია)

**მთის თხილამურობა**

| | |
|---|---|
| 1. კარინ პუტცერი (იტალია) | 2წთ.46,93წმ (1.22,45+1.24,48) |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 2.47,34 (1.22,82+24,52) |
| 3. დენიზ კარბონი (იტალია) | 2.47,61 (1.22,85+1,24,76) |
| 4. ჟენევიევ სიმარი (კანადა) | 2.48,13 (1.23,26+1.24,87) |
| 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.48,30 (1.22,84+1,25,46) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 881 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 828 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 794 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 721 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 578 |



ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი
15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $

# კორტზე მთავარი მკვლელის ინსტინქტია

**21 იანვარი**

**კაცები**

**მეოთხე წრე**

**ტომი ჰაასი** (12, გერმანია) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 4:6 6:3 6:2 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (3, რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (13, ჩეხეთი) 5:7 6:4 6:1 7:6; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) 7:5 6:4 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ენდი მიურეი (15, ბრიტანეთი) 6:7 6:4 4:6 6:3 6:1

**ქალები**

**მეოთხე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (22, რუსეთი) 7:5 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (12., რუსეთი) — პატი შნიდერი (8, შვეიცარია) 6:4 6:1; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — დანიელა ჰანტუხოვა (15, სლოვაკეთი) 6:1 7:5; **მარტინა ჰინგისი** (6, შვეიცარია) — ნა ლი (19, ჩინეთი) 4:6 6:3 6:02

**მიუხედავად** იმისა, რომ რაფაელ ნადალსა და ენდი მიურეის შორის ასაკში განსხვავება მხოლოდ ერთი წელია, ესპანელი გაცილებით გამოცდილი ჩოგბურთელია. უკვე ოთხი წელიწადია, რაც მალიორკელმა ვარსკვლავბიჭუნამ დიდ ჩოგბურთში შედგა ფეხი და ამის ნახევარი ელიტაში. გაატარა: 19 წლის შოტლანდიელი კი სულ ახლახან შეუდგა საჩოგბურთო ოლიმპისკენ მიმავალ მეტად რთულ გზას.

სწორედ ამიტომ მათ გუშინდელ შეხვედრას ახალგაზრდობისა და გამოცდილების ჯახი შეიძლება დაერქვას, რომელშიც ბევრის მნახველმა და უკვე კარგად გამობრძმედილმა ნადალმა მაინც დაჯაბნა თავისი ოპონენტი. არადა, შეხვედრის დიდი ნაწილი მიურეის კარნახით მიდიოდა და ხშირად ვითარების ბატონ-პატრონი სწორედაც რომ შოტლანდიელი იყო. მაგრამ ენდიმ ბოლომდე ვერ გამოიყენა თავისი შანსები, რაც სწორედ გამოუცდელობას შეიძლება დაბრალდეს. სამაგიეროდ, ნადალმა გამოამჟღავნა „მკვლელის ინსტინქტი" — თვისება, რომელიც მხოლოდ ტოპმოჩოგნეებს ახასიათებთ და რის ხარჯზეც არაერთი თითქმის წაგებული შეხვედრა შემოუტრიალებიათ. ბოლომდე ბრძოლასა და გამძლეობაში დღესდღეობით ესპანელს ცოტა თუ გაეჯიბრება — სწორედ ამ თვისებების ხარჯზე გავიდა ნადალი მეოთხედფინალში.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი ალბათ მეოთხე სეტის შუაწელზე იყო, როცა ნადალის მოწოდებაზე მიურეიმ ზედიზედ ხუთი ბრეიკ-პოინტი გაანიავა. ესპანელმა უკვე შემდეგ გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება და ნათელი გახდა, რომ საქმე მეხუთე სეტამდე მივიდოდა. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე ყოველთვის ფიზიკური მომზადება გამოდის. ამ მხრივ კი მიურეიმ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს, თავის გუშინდელ ოპონენტს რომ გაუტოლდეს. შედეგიც შესაბამისი იყო — გადამწყვეტ სეტში ნადალს არანაირი წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია.

მეოთხედფინალში მალიორკელს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელის ფერნანდო გონსალესის სახით, რომელმაც ფანტასტიკური ფორმა აკრიფა და ლეიტონ ჰიუიტის გზას ტურნირის კიდევ ერთი ფავორიტი ჯეიმს ბლეიკი გაუყენა. პარადოქსულია, რომ ჩილელი შავტუხა ამერიკელს მასპინძელზე იოლად გაუსწორდა.

კიდევ ერთ მეოთხედფინალური წყვილი ნიკოლაი დავიდენკომ და ტომი ჰაასმა შეადგინეს. რუსმა ახალგაზრდა ტომაშ ბერდიხი ოთხ სეტში გატეხა. ამდენივე დასჭირდა გერმანელსაც დავიდ ნალბანდიანის დასამარცხებლად, ოღონდ ჰაასმა მაინც. უფრო ნაკლები ძალა შეალია არგენტინელს.

დიდებულად თამაშობს ანა ჩაკვეტაძეც, რომელმაც თავისი კოხტა და კომბინაციური ჩოგბურთით ბლომად თაყვანისმცემლები შეიძინა. ქართული წარმოშობის, მაგრამ რუსეთის სახელით მოთამაშე ეს ჩოგბურთელი ლამის ყოველდღიურად უმტკიცებს და ამტკიცებს, რომ ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშის თიკუნი ტყუილად არ დაუმსახურებია.

ამჯერად ანა მერვე ნომრად განთესილ პატი შნიდერს იმდენად იოლად გაუმკლავდა, თითქოს სლემტურნირის მეოთხე წრეში კი არა, სპარინგზე იყო თავის მუდმივ პარტნიორ ვასილისა ბართინასთან ერთად. ჩაკვეტაძემ თავიდან ცოტა ინერვიულა და შვეიცარიელს 4:1 დაწინაურების საშუალება კი მისცა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ შვიდი გეიმის აღებით მშვენიერი უპირატესობა მოიპოვა და მილიონობაში იოლადაც იმარჯვა.

ანას მეოთხედფინალში ასევე 19 წლის, მაგრამ მასზე გაცილებით სახელიან და გამოცდილ მეტოქესთან, მარია შარაპოვასთან მოუწევს შეხვედრა. რუსმა პრიმამ გუშინ ერთი რუსული დუელი უკვე მოიგო, როცა ვერა ზვონარიოვა დაამარცხა და ახლა შეეცდება, იგივე ჩაკვეტაძესთანაც გაიმეოროს.

მეორე მეოთხედფინალი კი ნამდვილად ვარსკვლავური იქნება — ჩოგბურთში მობრუნებული მარტინა ჰინგისი ჩოგბურთიდან მიმავალ კიმ კლაისტერსს დაეჯახება და ბრძოლა და ინტრიგა თქვენ იქ ნახეთ.

**ძაბა ლომაშვილი**





რაფაელ ნადალმა ენდი მიურეი ხუთსეტიან ომში დაჯაბნა

მსოფლიოს XX ჩემპიონატი
ჰაცები. გერმანია. 19 იანვარი — 4 თებერვალი

# როლანდ ისლანდიელი

**პირველი** ჯგუფური ეტაპის გასრულებამდე ერთი ტურით ადრე რვა გუნდმა გაინაღდა უძლიერესთა დუჟინის საგზური. თუმც დასკვნითი დღის თამაშებს სიმწვავე არ მოჰკლებია, რადგან მეორე ეტაპზე გასულ ორ-ორ ნაკრებს მეორე ეტაპზე ურთიერთშეხვედრის შედეგი მიჰყვებათ.

უკრაინელებთან მარცხით პრაქტიკულად გადაეწურათ წინსვლის შანსი ისლანდიელებს. კუნძულელთა შემადგენლობაში ამჯერად გამოჩნდა მათი ყველაზე ასაკოვანი წევრი, 35 წლის როლანდ ერაძე. ყოფილ ჩვენს თანამემამულეს ავსტრალიელებთან პირველ მატჩში არ უთამაშია — კარს ახალგაზრდა გოლკიპერები იცავდნენ. უკრაინელებთან ურთულეს დაპირისპირებაში კი მწვრთნელებმა ერაძე თავიდანვე შეუშვეს მოედანზე.

შეხვედრის ბედი თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, სულ რამდენიმე წუთში გადაწყდა. ისლანდიელებმა მცირედი უპირატესობის (13:12) შენარჩუნება ვერ შეძლეს. ექსსაბჭოელებმა ექსქართველის გუნდელებს სამ წუთში ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს — 19:15 და მერე ბოლომდე ახლოსაც აღარ მიუშვიათ — 32:29.

ერაძემ 52 წუთი ითამაშა და 36-დან მხოლოდ ცხრა ტყორცნა მოიგერია, რაც მეტად დაბალი მაჩვენებელია.

სამედლო ბრძოლის გასაგრძელებლად ისლანდიელებმა ევროპის ჩემპიონ ფრანგებს უნდა სძლონ, თუნდაც მინიმალური სხვაობით, მაგრამ შეძლებენ კი?

მეორე თამაშშიც მედგრად იომეს ეგვიპტელებმა და ლამის ბოლომდე სოლიდური უპირატესობით უგებდნენ ჩეხთა ძლიერ ნაკრებს, საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე — 26:22, მაგრამ ხუთ წუთში მიყოლებით ხუთი გაშვებული გოლის შემდეგ „ოფსაიდში" აღმოჩნდნენ — 30:31.

| A ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 2 | 0 | 0 | 70:43 | 4 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 68:44 | 4 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 2 | 46:67 | 0 |
| გრენლანდია | 0 | 0 | 2 | 41:71 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 79:31 | 4 |
| ისლანდია | 1 | 0 | 1 | 74:52 | 2 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 53:61 | 2 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 2 | 30:92 | 0 |

| C ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 60:38 | 4 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 59:42 | 4 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 2 | 45:58 | 0 |
| არგენტინა | 0 | 0 | 2 | 35:61 | 0 |
| **D ჯგუფი** | | | | | |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 74:47 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 68:53 | 4 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 2 | 59:64 | 0 |
| ყატარი | 0 | 0 | 2 | 41:78 | 0 |

| E ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 55:51 | 4 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 63:38 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 68:50 | 2 |
| ანგოლა | 0 | 0 | 2 | 33:80 | 0 |
| **F ჯგუფი** | | | | | |
| ხორვატია | 2 | 0 | 0 | 76:45 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 67:51 | 3 |
| კორეა | 0 | 1 | 1 | 55:73 | 1 |
| მაროკო | 0 | 0 | 2 | 41:70 | 0 |



# ლოები და უზრალოები



**კლასიკური** რალის უძველესი რბოლით დაიწყო მსოფლიოს მორიგი, თითქმის 11-თვიანი ჩემპიონატი. წელსაც 16 დიდი პრიზი გათამაშდება, ოღონდ ავსტრალიის, კვიპროსისა და თურქეთის ნაცვლად ნორვეგიის, ირლანდიისა და პორტუგალიის ეტაპები გაიმართება.

ჯუჯა მონაკოს მთიან გზებზე ამჟამინდელი რბოლა თითქმის საიუბილეო, 75-ე იყო. ეგაა, წინა წლებისგან განსხვავებით, უჩვეულოდ თბილმა ზამთარმა ეკიპაჟებს ჭუჭყიანი ყინულიანი სერპანტინები დაახვედრა.

ყველა მოუთმენლად ელოდა ოთხთვიანი უქმობის შემდეგ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ სებასტიენ ლოების გამოჩენას. იგი შარშან სექტემბერში ველოსიპედით ვარჯიშისას დაეცა და ხელი სამ ადგილას მოიტეხა. ოპერაციამ წარმატებით კი ჩაიარა, მაგრამ ფრანგი პილოტი სეზონის ბოლომდე საჭეს ვეღარ მიუჯდა.

ჩემპიონმა და მისმა საჩემპიონო „სიტროენმა" დაბრუნება დიდებულად, ჩემპიონის საკადრისად აღნიშნეს. ფრანგულმა სუპერკონცერნმა შარშან ერთწლიანი „შვებულება" აიღო, ამდენად ლოები კერძო „სიტროენ-ქსარათი" დაჯგირითობდა. ეს ავტოგიგანტი სარალო სარბიელს ახალი მოდელითა და უდიდესი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებით დაუბრუნდა და ბუნებრივია, მეტი სატიტულო შანსიც ექნება.

ყოველ შემთხვევაში, 2007 წლის სადებიუტო რბოლამ ეს ვარაუდი დაადასტურა. სებმა და დანიელ სორდომ პირველი დღეს ცხრავე ჩქაროსნული უბანი მოიგეს და საბოლოოდ უზარმაზარი უპირატესობით აჯობეს შარშანდელი გუნდური თასის მფლობელ „ფორდელებს" და კიდევ ერთი კონკურენტის, „სუბარუს" ტანდემს. ეს ლოებისა და მისი შტურმანის დანიელ ელენას მეოთხე მონაკოური ტრიუმფია.

მსოფლიოს ექსჩემპიონი, ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი გასულ წელს სამარცხვინო ჩავლავების მიუხედავად, როცა კინკილა რბოლის მოგებაც ვერ შეძლო და გენერალურ კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილზე ჩარჩა, ამჯერად იმედიანადაა, ორი ეტაპის შემდეგ ახალთახალ, რევოლუციურ „სუბარუს" გამოვაგელვებთ, თანაც „პირელის" უხეირო საბურავები „გუდრიჯით" შევცვალეთ და სატიტულოდ ვიბრძოლებთო.

ცხადია, იგივე მიზანი აქვს შარშანდელ ვიცეჩემპიონ მარკუს გრონჰოლმსაც. 38 წლის ორგზის გვირგვინოსანი ფინელი „ფორდელი" პენსიაზე გასვლამდე მესამე ტიტულის მოპოვებაზე ფიქრობს.

**გია ახალაძე**

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
პირველი ეტაპი. მონაკო. 329,0 კმ

**რბოლის შედეგები**

1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) ---------- 3სთ; 10.27,4
2 დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) ---------- ჩამორჩა 38,2
3 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) ---------- 1.22,8
4 კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) ---------- 2.28,1
5 მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) ---------- 2.28,3
6 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) ---------- 3.12,0
7 ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, მიცუბისი) ---------- 3.38,1
8 იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) ---------- 4.39,4

**საერთო ჩათვლა**

ლოები — ელენა 10 ქულა, სორდო — მარტი 8, გრონჰოლმი — რაუტიაინენი 6, ატკინსონი — მაკნილი 5, ჰირვონენი — ლეჰტინენი 4, სოლბერგი — მილსი 3, გარდმაისტერი — ჰონკანენი 2, კოპეცკი — ჰოვანეკი 1

**კონსტრუქტორთა თასი**

სიტროენი 18 ქულა, ფორდი 10, სუბარუ 8, კრონოს-სიტროენი 2, სტობარტ-ფორდი 1.



ჰაინეკენის თასი 2007
ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური

პლანელი 20:16 ლონდონ-აირიში
ტულუზი 28:13 ოლსტერი
ნორთჰემპტონი 8:7 ბიარიცი
პარმა 45:37 ბორდო



ტრევორ ბრენანმა თანამემამულე ფანს მაგრად მოსდო

# ბევრი სტერი და ლორი ტრიბუნაზე

**სარაგბო** ჩემპიონატი ლიგის ჰაინეკენის თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო, მეექვსე ტურში გაირკვა ის რვა გუნდი, მეოთხედფინალში რომ გააგრძელებს ბრძოლას. პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს ინგლისურმა „უოსფსმა", „ლესტერმა" და „ნორთჰემპტონმა", ირლანდიურმა „ლენსტერმა" და „მანსტერმა", ფრანგულმა „სტად ფრანსემ" და „ბიარიცმა" და უელსურმა „ჰლანელმა". ამათგან „ნორთჰემპტონის" და „მანსტერის" გარდა, ჯგუფში ყველამ იპირველა, ხოლო „ნორთჰემპტონი" და „მანსტერი" საუკეთესო მეორე ადგილებით გავიდნენ პლეი ოფში.

ტურნირის ფორმატი იმგვარია, რომ შეიძლება, პლეი ოფში ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასულები შეხვდნენ ერთმანეთს, რაც ამჯერზე მოხდა კიდეც. თანაჯგუფელები „ლესტერი" — „მანსტერი" და „ბიარიცი" — „ნორთჰეპტონი" ერთმანეთს სანახევარფინალო მატჩებშიც დაეჯახებიან. პლეი ოფი შინ და გარეთ პრინციპით იმართება.

ყველაზე დამაინტრიგებელი „ლესტერი" — „მანსტერის" პლეიოფური ჯახი იქნება. 21-ე საუკუნეში „მანსტერი" შინ ამ უქმეებამდე უძლეველი იყო, მაგრამ ინგლისელებმა უმოტივაციო ირლანდიელებს პირველი საშინაო მარცხი გაუფორმეს და ჯგუფშიც იპირველეს.

სხვა გამოსარჩევი ამბავი ტულუზაში მოხდა, სადაც იქაურები ირლანდიურ „ოლსტერს" მასპინძლობდნენ. „ოლსტერს" საფრანგეთში ორასამდე ფანი ჩაჰყვა და ერთ-ერთმა ყიამყრალმა „ტულუზას" სათადარიგო მოიერიშეს, ირლანდიელ ტრევორ ბრენანს მთელი მატჩი აგინა და სულ მოღალატე ლორი უძახა. ბრენანმაც ვეღარ მოითმინა, მაგინებელს ტრიბუნაზე აუვარდა და ყბები გაუერთიანა.

**ბაჩო სვანიძე**

| A ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| უოსფსი | 5 | 0 | 1 | 23 |
| ერპინიანი | 4 | 0 | 2 | 18 |
| კასტრი | 3 | 0 | 3 | 16 |
| ტრევიზო | 0 | 0 | 6 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | |
| ლენსტერი | 4 | 0 | 2 | 21 |
| აჟანი | 4 | 0 | 2 | 17 |
| გლოსტერი | 3 | 0 | 3 | 15 |
| ედინბურგი | 1 | 0 | 5 | 5 |
| **C ჯგუფი** | | | | |
| სტადფრანსე | 4 | 1 | 1 | 22 |
| ოსპრი | 4 | 1 | 1 | 20 |
| სეილი | 3 | 0 | 3 | 15 |
| კალვიზანო | 0 | 0 | 6 | 0 |

| D ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლესტერი | 5 | 0 | 1 | 23 |
| მანსტერი | 5 | 0 | 1 | 23 |
| კარდიფი | 2 | 0 | 4 | 9 |
| ბურგუენი | 0 | 0 | 6 | 3 |
| **E ჯგუფი** | | | | |
| ჰლანელი | 6 | 0 | 0 | 27 |
| ტულუზი | 3 | 0 | 3 | 17 |
| ოლსტერი | 2 | 0 | 4 | 10 |
| ლონდონაირიში | 1 | 0 | 5 | 9 |
| **F ჯგუფი** | | | | |
| ბიარიცი | 6 | 0 | 0 | 29 |
| ნორთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 20 |
| ბორდო | 1 | 0 | 5 | 6 |
| პარმა | 1 | 0 | 5 | 5 |

## მეოთხედფინალი

ბიარიცი — ნორთჰემპტონი
ჰლანელი — ლენსტერი

უოსფსი — სტადფრანსე
ლესტერი — მანსტერი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge